


ეკონომიკური პროფილი



ქუთისის უნივერსიტეტი

ISSN 1512-3901 (ბეჭდ.)

UDC 33 სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
ე - 491

№14, 2014 წელი
მარტი

რეფერირება: Институт Научной Информации по Общественным Наукам
(Российская Академия Наук) _ www.rim.inion.ru

n o m e r S i a :

მარკეტინგი, მენეჯმენტი და ტურიზმი

ფინანსები და აღრიცხვა

ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის (სემა) ნამდვილი წევრი **რევაზ კაკულია**
პასუხისმგებელი რედაქტორი:
ე.მ.დ., სემას-ს ნამდვილის წევრი პროფესორი **ნიკო ჩიხლაძე**

სარედაქციო კოლეგიის წევრები:

იაკობ მესხია
ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ავთანდილ სილაგაძე
ე.მ.დ., პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:
ევგენი ბარათაშვილი
რევაზ ბასარია
რევაზ მანველიძე
ელგუჯა მექვაბიშვილი
გედევან ხელაია
გიორგი ლავთაძე
აკადემიური დოქტორები, ასოცირებული პროფესორები:
აკაკი ბაკურაძე
ლელა ბახტაძე
კახა გაბელაშვილი
ვაჟა გურაბანიძე
ნაირა ვირსალაძე
გურამ უფლისაშვილი
ხათუნა შალამბერიძე
გოდერძი შანიძე
სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები, პროფესორები:
ტიმო ლინკოლა (ფინეთი)
პეტრე მაშეგოვი (რუსეთი)
მილან მიკულასტიკი (ჩეხეთი)
სერგეი ლუკინი (ბელორუსი)
მარია ტურიანსკაია (უკრაინა)

დავუქმებული:

ქუთაისის უნივერსიტეტი რექტორი, პროფ: **ლელა ქალბაქიანი**
4601, საქართველო, ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №13
ტელ: 0 431 24 23 73, 25 12 73.
www.unic.edu.ge;
info@unic.edu.ge, chixi@mail.ru

დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს „მბმ-პოლიგრაფის“ მიერ ქ. ქუთაისი, წერეთლის 186 ტელ.: 0 431 23 45 54;

მარკეტინგი, მენეჯმენტი და ტურიზმი

- 1. ვაჟა გურაბანიძე** (3)
ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტის საკითხისათვის
- 2. მაია ახვლედიანი** (8)
ეკონომიკის სერვისაცია და მარკეტინგის კონცეფცია საქართველოს სამრეწველო პოლიტიკაში
- 3. ციცინო დავითულიანი** (13)
საქართველოს კარსტული მღვიმეები და მათი გამოყენება ტურიზმში
- 4. ემზარ ჯულაყიძე** (15)
საპროექტო იდეის საბაზრო ორიენტაციის მენეჯმენტი
- 5. ნანა ლუხუტაშვილი** (18)
თანამედროვე ქართული მენეჯმენტის ზოგიერთი ასპექტი
- 6. გოდერძი შანიძე** (21)
ბიზნესის რისკების იდენტიფიკაცია
- 7. ირაკლი კინწურაშვილი** (25)
კომპანია „სოკარი ჯორჯია პეტროლიუმის“ მარკეტინგული სტრატეგიები და წარმატებები

ფინანსები და აღრიცხვა

- 8. ნაირა ვირსალაძე** (28)
ინდექსების როლი საერთაშორისო შედარებებში
- 9. დეზემონა მალლაკელიძე, ნათელა ვაშაკიძე** (32)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდების შესახებ
- 10. ნანა ბენიძე** (36)
სადაზღვევო ბაზარი და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია
- 11. ხათუნა შალამბერიძე** (40)
საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდების ანალიზი

ეკონომიკური თეორია და პოლიტიკა

- 12. თამაზ გამსახურდია** (46)
ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ზოგიერთი ასპექტი
- 13. ზეინაბ ახალაძე** (51)
საქართველოს აგრარული ბიზნესი და ევროპული ბაზარი
- 14. ხათუნა თოდუა** (56)
სიღარიბის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები
- 15. რამაზ ნამიჭიშვილი** (59)
ეკონომიკა მეცნიერება-ანტიმეცნიერების ზღვარზე
- 16. მეგი გორგასლიძე** (67)
სახელმწიფო მენარმეობა - საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი

ვაჟა ბუჩაკაძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და
აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**ადამიანური რესურსების საერთაშორისო
მენეჯმენტის საკითხისათვის**

ვირმის დონეზე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სტრატეგიული როლი საკმაოდ რთულია, მაგრამ ამ მხრივ საქმიანობა კიდევ უფრო რთულდება საერთაშორისო ბიზნესში, სადაც პერსონალის შერჩევის, მისი მენეჯმენტის განვითარების, სამუშაოს შეფასებისა და ანაზღაურების თვალსაზრისით გაწეული საქმიანობა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი არის, ადამიანების დასაქმებისა და განვითარების პროცესი, რომელიც მთელ მსოფლიოში ფუნქციონირებს. ეს ნიშნავს ქვეყნის საზღვრებს მიღმა მუშაობას რესურსებით მობარაგების, განვითარების, კარიერის მართვისა და ანაზღაურების, აგრეთვე იმ სტრატეგიების, პოლიტიკისა და პრაქტიკის, რომელიც საერთაშორისო სამუშაო ძალას ეხება ჩამოსაყალიბებლად და განსახორციელებლად.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე მართვას ერთი ქვეყნის ფარგლებში შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი, უნდა მართოს სამუშაო ძალის შემადგენლობის სირთულე. მაგალითად, მთლიანად საკუთრებაში მყოფმა შვილობილმა კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ მასპინძელი და მშობლიური ქვეყნის მოქალაქეები, მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად. ეს წარმოშობს დასაქმებისა და ანაზღაურების პრობლემებს. ერთობლივ საწარმოში ან სტრატეგიულ ალენსში შესაძლოა უფრო რთული სამუშაო ძალა იყოს, რომელშიც შედიან თვითონ საწარმოში მომუშავე ემიგრანტები, მასპინძელი ქვეყნისა და მესამე ქვეყნის ის მოქალაქეები და სპეციალისტები ნებისმიერი პარტნიორი საწარმოდან, რომლებიც მიწვეულნი არიან გარკვეული პრობლემის მოსაგვარებლად და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

მეორე პრობლემა არის სხვადასხვა კულტურას, საზოგადოებრივ სისტემასა და მოთხოვნილებებს შორის განსხვავების მართვა. საერთაშორისო კადრების მენეჯერების საქმე არ არის ერთგვაროვნობის რეგულირება – მათ რომ ეს ეცადათ წარმატება მაინცარ ექნებოდათ;

მესამე პრობლემა არის საერთაშორისო ოპერაციების შესაფერისი ადამიანებით უზრუნველყოფა, რომლებსაც შეეძლებათ უფრო რთული პრობლემების გადაჭრა, რაც აუცილებლად წამოიჭრება იმისათვის, რომ ბიზნესი კონკურენტუნარიანი იყოს ბაზარზე თავისი მომსახურების შეთავაზებით, მან აუცილებლად უნდა მიიზიდოს და შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური, მსოფლიო დონის შესაძლებლობების მქონე კადრი.

საერთაშორისო მენეჯმენტი

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი არ ნიშნავს სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკის მეთოდების გადმოღებას; ეს არც თითოეული ქვეყნის კულტურის შესწავლაა და არც ქცევის მოდიფიცირება თითოეულ მათგანში, რაც თავისთავად შეუძლებელია, რადგან ყველა ეროვნული კულტურა თვითმყოფადი და ძლიერი ბუნებისაა. კადრების საერთაშორისო მენეჯმენტს კარგად განსაზღვრავს შემდეგი მახასიათებლები:

კოსმოპოლიტურობა – ადამიანს ახასიათებს იყოს მრავალეროვანი პატივმოყვარე ელიტის წევრი, რომელიც ჩართულია მაღალი დონის კოორდინაციაში და მუდმივ მოძრაობაში, ან ემიგრანტი, რომელიც შესაძლოა სხვაგან გადავიდეს სამუშაოდ რამდენიმე წლის შემდეგ და დიდი სიროთულებები შეექმნას რეპატრიაციასთან დაკავშირებით;

კულტურა – ძირითადი განსხვავებები კულტურის ფონზე;

კომპენსაცია – სპეციალური მოთხოვნები ემიგრანტებისა და მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეების ანაზღაურებისა და დახმარებების განსაზღვრისათვის;

კომუნიკაცია – კარგი კომუნიკაციის შენარჩუნება მსოფლიოსთან, ორგანიზაციის ყველა ნაწილთან;

კონსულტაცია – ექსპერტების მოწვევის აუცილებლობა ადგილობრივი მოთხოვნილებების გასარკვევად;

კომპეტენტურობა – მთელი რიგი შესაძლებლობების განვითარება იმ ადამიანებში, რომლებსაც მუშაობა უხდებათ პოლიტიკური, კულტურული და ორგანიზაციული საზღვრების მიღმა;

კოორდინაცია – ოფიციალური და არაოფიციალური მეთოდების შემუშავება, რათა საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა მხარემ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი არის ადამიანური რესურსების მართვა უფრო დიდი მასშტაბით, უფრო რთული, განსხვავებული და მეტი კოორდინაციით. ბუნებრივია, გამოყენებული უნდა იქნას დაკომპლექტების და ტრენინგის ძირითადი მეთოდები, მაგრამ ეს უნდა შეესაბამებოდეს სხვადასხვა კულტურისა და ადგილობრივ მოთხოვნილებებს.

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტის უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. აქ ჩვენ განვიხილავთ ზოგად მოსაზრებებს, რომლის გათვალისწინება აუცილებელია დასაქმებისა და განვითარების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებელი მეთოდის დამუშავების დროს, დასაქმებულთა დაკომპლექტების, მოტივაციის და ანაზღაურების სფეროებში.

საერთაშორისო დასაქმებისა და განვითარების პოლიტიკა - განიხილავს სამ ძირითად საკითხს: ცენტრალიზაცია, მმართველობითი თანამდებობების შტატებით უზრუნველყოფა და ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება.

ცენტრალიზაციის პოლიტიკა ითვალისწინებს იმას, თუ კორპორაციის მთავარი სამმართველო რამდენად უნდა ანვითარებდეს და აკონტროლებდეს დასაქმების პოლიტიკას. ეს ნიშნავს იმას, რომ შტატებით დაკომპლექტების, დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების, კარიერაში წინგლისა და ანაზღაურების გადაწყვეტილებები მიიღება ცენტრში. მაშინ ორგანიზაციას ეძლება საშუალება, იფიქროს მართვის თანამიმდევრობაზე და მაღალი დონის კადრებით უზრუნველყოს იგი, რათა გამოიყენოს ახალი შესაძლებლობები და მართოს არსებული საქმი-

ანობა.

მმართველობითი თანამდებობის შტატებით უზრუნველყოფის სამი მეთოდი არსებობს: ყველა ძირითადი თანამდებობების შევსება მთავარი ქვეყნის მოქალაქეებით; მშობლიური ქვეყნის მოქალაქეების დანიშვნა შვილობილი კომპანიის სამართავად და საუკეთესო პერსონალის (ეროვნების მიუხედავად) დანიშვნა შვილობილი კომპანიის სამართავად.

მმართველობითი კვალიფიკაციის ამადლების პოლიტიკა ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად შეიძლება გაფართობდეს ნამდვილად საერთაშორისო პერსპექტივა მსოფლიო ორგანიზაციულ სტრუქტურაში იმ პროცესების მეშვეობით, რომელიც ხელს უწყობს ნიჭსა და უნარს, სამუშაოს მონაცვლეობას, სპეციალურ დანიშვნებს, დისტანციური სწავლების პროგრამებს, რეგიონული და ცენტრალური ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამადლებას, ისეთ პროგრამებში მონაწილეობას, რომელსაც უძღვება საერთაშორისო ბიზნესის სკოლები, კარიერაში წარმატების მიღწევის უზრუნველყოფას და ცენტრიდან მონიტორინგის პროცესებს.

დასაქმებულთა დაკომპლექტება – ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი ნიშნავს ადგილობრივი და მესამე ქვეყნის მოქალაქეების სამუშაოდ აყვანას მთავარი ქვეყნის ფილიალებში, საწარმოებსა და სააგენტოებში უცხო ქვეყნებში ან შორეულ ტერიტორიაზე.

ამოსავალი წერტილი არის საკვალიფიკაციო დახასიათება და პიროვნების კვალიფიკაცია. როდესაც ვქმნით საწარმოს შორეულ ტერიტორიაზე უმჯობესია გამოვიყენოთ საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტები რჩევისა და კვლევის დარგში, რომლებიც დაგეხმარებიან შეარჩიონ შესატყვისი ადამიანები. ძირითად თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები უნდა გამოაჰკითხოთ ძირითადი კომპანიის ხელმძღვანელმა, რომელსაც სურს გაიგოს არამარტო ის, თუ რამდენად უნარიანია პიროვნება საქმეში, არამედ ისიც, თუ რამდენად მობილურია და რამდენად შესწევს გააკეთოს საერთაშორისო კარიერა ორგანიზაციაში.

მოტივაცია საერთაშორისო კომპანიაში – მოტივაციას სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ ფაქტორთა ერთობლიობა აყალიბებს. მოტივაციის პროცესის შეცნობის ამოსავალი წერტილია მუშაკთა მოთხოვნილებებისა და ფასეულობების ანალიზი. მოთხოვნილებები არის ის, რაც ინდივიდს უნდა ჰქონდეს; ფასეულობები კი – ის, რასაც ინდივიდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მოტივაციის პროცესის ყველა თეორიული მიდგომა შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად:

1. მოთხოვნილებებზე დამყარებული მოტივაციის მეთოდები;
2. მოტივაციის პროცესუალური მოდელები;
3. განმამტკიცებელი, განმამყარებელი (reinforcement) მოტივაციის მოდელები.

ინდივიდის ქცევის მოტივაცია სხვადასხვა კულტურაში მეტ-ნაკლებად სხვადასხვა მოთხოვნილებაზეა დამყარებული. მაგალითად, ინდივიდუალური კულტურის მქონე ქვეყნებში კომპანიების რიგითი მუშაკების და მათი ხელმძღვანელების ქცევის მოტივაცია მნიშვნელოვანი ზომით ინდივიდუალური მოთხოვნილებებითა და პერსონალური ჯილდოებით არის განპირობებული. მათთვის მეტად საინტერესო და სასურველია მუშაკთა პერსონალური კომპეტენტურობის აღიარება და მათი დაჯილდოების დემონსტრირება. საქმე პირიქითაა კოლექტიური კულ-

ტურის მქონე ქვეყნებში. იქ ინდივიდების ქცევის მოტივაციას ჯგუფური მოთხოვნები და ჯილდოები უდევს საფუძვლად. ამ შემთხვევაში კოლექტივის წევრებს შეიძლება გარკვეული უხერხულობაც კი შეექმნათ იმის გამო, რომ მათ ჯგუფისაგან გამოცალკევებულად ინდივიდუალური ჯილდო მიიღონ.

მოტივაციის პროცესუალური მიდგომის საფუძველია ადამიანთა ქცევა მოვლენების აღქმისა და შემეცნებისაგან დამოკიდებულებით. აღსანიშნავია, რომ მოლოდინის თეორიაზე ნაკლები გამოკვლევებია ჩატარებული, თუმცა მისი ძირითადი დებულება მაინც ლოგიკურია. იმის მიუხედავად, თუ სად მუშაობს ეს თუ ის ადამიანი, მათი მოქმედებები უმეტეს შემთხვევაში მიმართულია იმ მიზნების მისაღწევად, რომლებიც მათი მოქმედების სფეროში ხდება. ცხადია, კულტურული ფაქტორებიც გავლენას ახდენენ ამ მიზნების შინაარსზე.

რაც შეეხება მოტივაციის განმამტკიცებელ, განმამყარებელ (reinforcement) მოდელებს, ესეც სხვადასხვა კულტურის კონტექსტში არ არის ფართოდ შესწავლილი. ამ მოდელების თანახმად, ქცევის იმ მოდელებს, რომელმაც დადებითად შეაფასა ინდივიდი (დააჯილდოვა), დიდი ალბათობით იგივეს გაიმეორებს მომავალშიც. მაგრამ თუ პირიქით მოხდა და მან ასეთი ქცევით სასჯელი მიიღო, იგი ამას აღარ გაიმეორებს.

ისე როგორც მოლოდინის თეორია, მოტივაციის განმამტკიცებელი, განმამყარებელი (reinforcement) მოდელებს საერთო კანონზომიერებიდან გამომდინარე გამონაკლისის სახით არსებობს. მაგალითად, მაჰმადიანურ ქვეყნებში ადამიანები ფიქრობენ, რომ ყველაფერი რაც ხდება, ალაჰის ნებაა და მათზე არ არის დამოკიდებული. ეს იმას ნიშნავს, რომ დაჯილდოების და დასჯის სისტემა დიდ გავლენას არ ახდენს კულტურის წარმომადგენელთა მიერ ქცევის ფორმის არჩევაზე. ამის მიუხედავად მისი გამოყენება საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერებს წარმატებით შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეძლებენ კარგად გაარკვიონ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული დაჯილდოებისა და დასჯის მიდგომები.

საერთაშორისო ანაზღაურება – როდესაც ბიზნესი ეწევა საერთაშორისო წარმოებრივ, მარკეტინგულ და მომსახურებით საქმიანობას, მათ შეუძლიათ თავისი შტატი გააგზავნონ სამუშაოდ, როგორც ემიგრანტები თვეობით და წლებით. ეს ნიშნავს, რომ ემიგრანტების ანაზღაურების სპეციალური პაკეტი უნდა დამუშავდეს. განვიხილოთეს ორი მთავარი მეთოდი.

ანაზღაურება შინ არსებული ხელფასის მიხედვით – შინ არსებული ხელფასის მიხედვით ანაზღაურების მეთოდი გულისხმობს, რომ ემიგრანტის ხელფასი იგივეა, რაც წარმომადგენლის ქვეყანაში. ასეთი ხელფასი ცოტა აბსტრაქტულია გრძელვადიანი დანიშვნებისათვის, ხოლო ხანმოკლე დანიშვნებისათვის ეს შესაძლოა პიროვნების ფაქტიური ხელფასი იყოს. აბსტრაქტული და ფაქტიური ხელფასები, რომელიც შინ არსებულ ხელფასზეა დაფუძნებული, გამოიყენება როგორც საფუძველი, რომელზედაც იგება ანაზღაურების მთელი პაკეტი. ხელფასს შეიძლება დაემატოს შემდეგი პუნქტები:

- საზღვარგარეთ მუშაობის წახალისების პრემია;
- დასახლებასა და გაჭირვებაზე;

- საცხოვრებელ პირობებსა და კომუნალურ მომსახურებაზე;
- სკოლის გადასახადზე;
- დასვენებასა და ჯანმრთელობის აღდგენაზე.

მასპინძელი ქვეყნის ხელფასის მიხედვით ანაზღაურება – ეს მეთოდი ემიგრანტებს უზრუნველყოფს ხელფასებითა და დახმარებებით. ეს შეესაბამება მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეების ხელფასსა და დახმარებებს, რომლებსაც მსგავს სამუშაოზე უხდიან.

მასპინძელი ქვეყნის ხელფასის მიხედვით ანაზღაურების მეთოდი უზრუნველყოფს სამართლიანობას ემიგრანტთა და მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეებს შორის. ასეთ ხერხს მიმართავენ ის კომპანიები, რომლებიც იყენებენ ე.წ. საბაზრო ნორმის სისტემას. ეს სისტემა გვიჩვენებს, რომ ემიგრანტების ხელფასი მიესადაგება ანაზღაურების საბაზრო დონეს მსგავსი სამუშაოსათვის მასპინძელ ქვეყანაში. კომპანიები, რომლებიც ზემოაღნიშნულ მეთოდს იყენებენ, ჩვეულებრივ აძლევენ დახმარებებს როგორცაა სკოლის გადასახადი, სამედიცინო დაზღვევა და ა.შ.

ამდენად, ადამიანური რესურსების საერთაშორისო მენეჯმენტი მეტად მრავალწახნაგოვანი პროცესია, რომლის მნიშვნელოვან მდგენელებს დასაქმებისა და განვითარების პოლიტიკის მეთოდიკის, დასაქმებულთა დაკომპლექტების, მოტივაციის და ანაზღაურების სფეროებში ადეკვატური სტრატეგიების ჩამოყალიბება წარმოადგენს. მათი წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს აღნიშნული პროცესის სრულფასოვნებას.

ლიტერატურა

1. არმსტრონგი მ., ადამიანური რესურსების მართვა, თბ. 2002.
2. გურაბანიძე ვ., შანიძე გ., გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი, ქუთაისი 2013.
3. გურაბანიძე ვ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ. 2009.
4. გურაბანიძე ვ., ქიქოძე ნ., შრომითი რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი 2006.
5. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ. 2010.
6. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, თბ. 2012.
7. Krugman A., Hodgetts R., International Buziness: A Strategic Managenemt Approach, Neww York: McGraww – Hill, 2004.
8. Пивоваров С. Е., Международный менеджмент, изд. Питер. Санкт-Петербург 2001.

მანია ახვლედიანი

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკის სერვისიზაცია და მარკეტინგის კონცეფცია საქართველოს სამრეწველო პოლიტიკაში

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების გადასვლა ე.წ. ინდუსტრიული ეკონომიკიდან სერვისულზე. რაც, პირველ რიგში, აიხსნება მომსახურების სფეროს მზარდი მნიშვნელობით ისევე, როგორც ეს ხდებოდა მრეწველობასთან დაკავშირებით, ინდუსტრიულ ეკონომიკაში. თუმცა იდეა, იმის შესახებ, რომ ეკონომიკის გადარჩენა შეუძლებელია წარმოების განვითარების, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის გარეშე, ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა წრეში კვლავ განაგრძობს დომინირებას [1].

ბუნებრივია იბადება კითხვა: რა განსხვავებაა სერვისულ და ინდუსტრიული ეკონომიკას შორის? **ჯერ ერთი**, სერვისულ ეკონომიკაში საწარმოთა საქმიანობა გამოშვებული პროდუქციის სარგებლიანობის ამაღლებასა და მომხმარებელთა სპეციფიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა გამიზნული. ინდუსტრიულ ეკონომიკაში-სასაქონლო პროდუქციის მაქსიმალურ გამოშვებაზე. **მეორე**, სერვისულ ეკონომიკაში ცნება სარგებელი გაიგივებულია იმასთან, თუ რამდენად გამოიყენება საქონელი და რამდენად სრულყოფილია მატერიალური პროდუქტისა და მომსახურების მწარმოებელი სისტემები. ინდუსტრიულ ეკონომიკაში-მხოლოდ პროდუქციის მატერიალურ მხარესთან. **მესამე**, სერვისულ ეკონომიკაში ხარისხის ცნებაში იგულისხმება მწარმოებლის უნარი მუდმივად ადევნოს თვალი მომხმარებლებთან ურთიერთობებს, მათი მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით. ინდუსტრიულ ეკონომიკაში-საწარმოების უნარი „კარგად აკეთონ თავიანთი საქმე“. **მეოთხე**, სერვისულ ეკონომიკაში იცვლება მენეჯმენტის სტილი, მართვის სისტემებისათვის დამახასიათებელი ხდება მოქნილობა, მანევრირების თავისუფლება და გახსნილობა. ინდუსტრიულ ეკონომიკაში-მენეჯმენტი მართვის სტრუქტურების იერარქიულობით და მეტისმეტი მოწესრიგებულობით ატარებდა მექანიკურ ხასიათს. **მეხუთე**, სერვისულ ეკონომიკაში მთავარი ყურადღება ექცევა მატერიალურ-სერვისულ სისტემის ეფექტიანობას, ინდუსტრიულში-ნედლეულის გარდაქმნას მზა პროდუქციად [2].

მარკეტინგული ოპერაციები, სერვისულ ეკონომიკაში, სცილდება იმ ვალდებულებათა ფარგლებს, რომელიც ეკისრება მარკეტინგის ტრადიციულ განყოფილებას და მწარმოებელთა მიზნების მიღწევის საშუალებად განიხილება. თუმცა, ეს შესაძლებელია მაშინ, როცა საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად, ხორციელდება სამეცნიერო-ტექნიკური, სამრეწველო და გასაღებითი გეგმების კორექტირება, ხოლო სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანების გადასაჭრელად

არსებობს შესაბამისი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები [3].


მარკეტინგი, როგორც საზოგადოების წევრთა შორის გაცვლით საფუძველზე აღმოცენებული საქმიანობა მრავალფეროვან გავლენას ახდენს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე. მათ შორის აღსანიშნავია: წარმოებისა და ვაჭრობის კავშირურთიერთობების განმტკიცება, მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება, საქონლის საწარმოო ხარჯებისა და ფასების შემცირება საქონლის წარმოებისა და მიმოქცევისათვის საჭირო რესურსების კოორდინაცია, მომხმარებლის რაციონალიზაცია, მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურების სრულყოფა [4].

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესმა სამრეწველო საწარმოების წინაშე მრავალი პრობლემა წარმოშვა: საკუთარი სანედლეულო ბაზის არასაკმარისი განვითარება, მოსახლეობის მხრივ სამრეწველო საქონელზე მოთხოვნის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის არარსებობა, მოთხოვნა-მიწოდებისა და ასორტიმენტულ-ხარისხობრივი დაუბალანსებლობის გამძაფრება, წარმოების ფაქტორებზე ფასების ზრდა, სტრატეგიული დაგეგმვისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სირთულეები. არსებულმა სიძნელეებმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის სამეურნეო სისტემა.

მიუხედავად, აღნიშნული სირთულეებისა საქართველოს სამრეწველო სექტორმა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში, გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას. ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს მრეწველობის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა (დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა და წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა).

დღეისათვის საქართველოს სამრეწველო სექტორში დასაქმებულია 114843 კაცი (იხ. ნახ. 1).
ნახ. 1

დასაქმებულთა დინამიკა 2006-2012 წ.წ.




წყარო: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური <http://www.geostat.ge/>

2006 წელს სამრეწველო სექტორი მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობამ შეადგინა 2779 მლრდ. ლარი. 2012 წლის ბოლოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 2,2-ჯერ და მიაღწია 6868,3 მლრდ. ლარს. მრავალი სამრეწველო საწარმო, მიუხედავად საქართველოს

სამრეწველო სექტორის ძირითად მაჩვენებელთა მზარდი დინამიკისა, დღემდე ვერ ახერხებს ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურ ფუნქციონირებას. მათი საქმიანობა მცირე დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით შემოიფარგლება [5].

საქართველოში სამრეწველო საწარმოთა (საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ფუნქციური რგოლი) პოზიციების გაუარესებისა და გაკოტრების მიზეზების კვლევამ გვიჩვენა, რომ ბევრი მათგანი მარკეტინგის ფუნქციებს ჯეროვნად ვერ იყენებდა. მათი უმრავლესობა ორიენტირებული იყო არა მხოლოდ სავაჭრო და ფინანსური ოპერაციების მცირე თანხებით წარმოებაზე, არამედ ვერ შეძლეს მომხმარებელთა მოთხოვნის ფორმირება და კარგად ორგანიზებული გასაღების მარკეტინგული კამპანიის წარმართვა.

ნახ. 2.



წყარო: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის სამსახური <http://www.geostat.ge/>

თანამედროვე სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია სამამულო და იმპორტული წარმოების საქონელით. ბაზარზე კვლავ დომინირებს იმპორტული სამრეწველო საქონელი, რომელიც აშკარად კონკურენტუნარიანია. აღსანიშნავია ისიც, რომ სამამულო წარმოების პროდუქცია, სამომხმარებლო ბაზარზე, თანდათანობით იკავებს წამყვან ადგილს. საკმაოდ დაიხვეწა მომხმარებელთა კულტურა და გაიზარდა მოსახლეობის მცირე ნაწილის გადახდისუნარიანობა. სამრეწველო საწარმოთა მარკეტინგის კონცეფცია, როგორც კომერციული საქმიანობის მიდგომის ახლებური გაგება განსაკუთრებულ პირობებს უქმნის მომხმარებელს: იყენებს გასაღების სტიმულირების სხვადასხვა ფორმებსა და აყალიბებს მომხმარებელთა ქცევას სამამულო პროდუქტისა და მომსახურების მიმართ.

განვითარებული საბაზარო კონკურენცია, სამრეწველო საწარმოებს კარნახობს პროდუქციის ხარისხის განვითარების გზებსა და საშუალებებს, განსაზღვრავს წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. საქონლის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ნაწილად მისი ექსპლუატაციის დროს გვევლინება სამომხმარებლო თვისება [6]. მომხმარებელი უპირატესობას საქონელს იმ შემთხვევაში მიანიჭებს, თუ იგი ყველაზე მეტად დააკმაყოფილებს მის მოთხოვნებს სხვა, მასთან კონკურირებად საქონელთან შედარებით. როგორც წესი, ხშირად საქონლის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა თანაბრად ახდენენ გავლენას პროდუქციის რეალიზაციაზე. სამამულო სამრეწველო პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის

ბის ამადლების პრობლემა კომპლექსური ხასიათისაა და მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: სამამულო ნაწარმის ხარისხის დონის ამადლება არა მხოლოდ საშინაო, არამედ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით; რეალური მოთხოვნის გამოვლინება, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლების საქონლის ხარისხის მიმართ დაკმაყოფილების დონეს.

ბაზარზე საწარმოთა არსებობის გახანგრძლივების ძირითადი პირობა საქმიანობის მარკეტინგული მიდგომებით წარმართვაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ბიზნესის მომხმარებელთა თვალთ დანახვას ნიშნავს. ამისათვის აუცილებელია მოვახდინოთ: შიგა და გარე მარკეტინგული გარემოს ანალიზი, რეალური და პოტენციური მომხმარებლის ანალიზი, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, საბაზრო სემენტების ანალიზი, საწარმოო შესაძლებლობების და მისი ეფექტიანობის ანალიზი, საქონლის სასიცოცხლო ციკლის ანალიზი, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი, კონკურენტების ანალიზი, კონკურენტული უპირატესობების ანალიზი და საბაზრო ფასების ანალიზი [6].

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიან ინსტრუმენტად შეიძლება იქცეს სამრეწველო სექტორის კონკურენტული უპირატესობების ანალიზი. რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის წინ გადადგმული ნაბიჯია ერთ-ერთი ძლიერი სამრეწველო პოტენციალის მქონე, იმერეთის რეგიონის სამრეწველო სექტორის კონკურენტული უპირატესობების **SWOT** ანალიზი. რომლის საფუძველზე, გამოავლენილია იმერეთის რეგიონის სამრეწველო სექტორის ძლიერი მხარეები: რეგიონის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის არეალი საშუალებს იძლევა, ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული კვების, მსუბუქი და ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი და ასევე გადამამუშავებელი დარგების განვითარებისათვის; საამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო მდიდარი რესურსული პოტენციალი; მერქნის გადამამუშავება – წარმოების მდიდარი ტრადიციების არსებობა; ჰიდრო და ენერგო რესურსებით უზრუნველყოფილი მხარე და ენერჯის იაფი წყაროების მიღების შესაძლებლობები (მზის, ქარის და წყლის ენერჯია); დინამიურად განვითარებადი საბანკო სექტორი; სამრეწველო პოტენციალის და სასწავლო სამეცნიერო ტრადიციების არსებობა; იაფი კვალიფიციური მუშახელი. **სუსტი მხარეებია:** სამრეწველო საწარმოთა მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა; გამოშვებული პროდუქციის ცუდი მარკეტინგი; სამრეწველო სექტორში ინვესტორთა სიმცირე; ნედლეულის წარმოებაზე ორიენტაცია; არსებულ სამრეწველო საწარმოთა დაუტვირთლობა; შრომითი რესურსების მომზადებისა და გადამზადების სისტემის არარსებობა. იმერეთის რეგიონის სამრეწველო სექტორის განვითარების **შესაძლებლობებია:** ხის რესურსების გათვალისწინებით საექსპორტო კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება; ბუნებრივი მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; ტყავისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; ანტიკოროზიული ლაქსაღებავების, ლითონის, ცემენტის აგურის, პროფილური ბლოკების წარმოება; გრუნტებისა და ანტიკოროზიული კრონების წარმოება. **მოსალოდნელი საფრთხეებია:** რეგიონში არსებულ სამრეწველო საწარმოთა დაბალი კონკურენტუნარიანობა; საწარმოთა სტრატეგიული დაგეგმვის სირთულეები;

მსუბუქ და კვების მრეწველობაში არსებული მზარდი კონკურენცია (ჩინეთი, თურქეთი და ა.შ.); იაფი იმპორტი; მაღალკვალიფიციური კადრების დეკვალიფიკაცია და სამუშაო ძალთა მიგრაცია [7]. სამრეწველო საწარმოთა მარკეტინგული საქმიანობის **SWOT** ანალიზის მიზანია რაციონალური სასაქონლო სპეციალიზაციის შემუშავება, სტრატეგიული გადაწყვეტილებების რაოდენობრივი შეფასება და ანალიტიკური დასაბუთება.

სამამულო საწარმოებში საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ აქტუალური გახდა სხვადასხვა ტიპის სიახლის ათვისებისა და გავრცელების მექანიზმები. სამომხმარებლო ბაზრის ფორმირების პროცესსა და მომხმარებელთა მოთხოვნას ჩამორჩება საინოვაციო პროდუქტის წარმოება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგი და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია საინოვაციო საქმიანობის, სამეცნიერო მიღწევების, წარმოების სფეროში რეალიზაციაზე. საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც საბიუჯეტო ისე არასაბიუჯეტო წყაროებით დაფინანსების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების არასაკმარის ოდენობასა და შეხლდულლობასთან. წარმოების მოცულობის შემცირებისა და საწარმოების დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების საინოვაციო საქმიანობისათვის წარმართვა. ამიტომ პირველხარისხიან მნიშვნელობას იძენს წარმოების ეკონომიკური სტიმულირებისა და ინვესტირების, საფინანსო-საკრედიტო განვითარების მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება [8].

საქართველოს სამრეწველო სექტორში მარკეტინგის კონცეფცია მიზნად ისახავს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულეებისა და საზოგადოებრივი აზრის შეჯერებას, რათა მიღწეული იქნას საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი წარმოების მართვა. ამისათვის, სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის ძირითად ამოცანებად გვესახება: საქონლის წარმოება მომხმარებელთა მოთხოვნის, საბაზრო სიტუაციისა და საწარმოო შესაძლებლობების გაცნობიერებით; მომხმარებელთა მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილება; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია განსაზღვრულ ბაზარზე, საბაზრო წილის ზრდა და მიწოდების პირობების დაცვა; საწარმოთა კომერციული საქმიანობის გრძელვადიანი რენტაბელურობის უზრუნველყოფა; მარკეტინგის სტრატეგიისა და ტაქტიკის მკაცრი შესრულება; საბაზრო კონიუნქტურის და მომხმარებელთა მოთხოვნის ცვლილებებზე სწრაფი ადაპტაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, საინფორმაციო კავშირების განვითარება, სამომხმარებლო მოთხოვნის სწრაფი ცვლილება მოითხოვს სამრეწველო საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. მარკეტინგული გარემოს ფაქტორების ცვალებადობით გამოწვეული რისკები საქართველოს სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს აუცილებლობის წინაშე აყენებს: შეცვალონ სამეურნეო საქმიანობის სტრატეგიები და შეიმუშაონ მოქნილი მმართველობითი სტრუქტურები. შესაბამისად მარკეტინგი უნდა გახდეს ის ნიშნული, რომელზედაც სამრეწველო საწარმოთა საწარმოო პროცესი აშენდება.

ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, თ. ყანდაშვილი, ნ. გრძელიშვილი, თ. როსტიაშვილი. სერვისმენეჯმენტი. თბილისი. 2013.
2. Baumol W. In Lefere-Farcy J. F. „La revolution tertiare: services, empkoy et croissance“, Revue Francaise d’Economie.Vol.VII, hiver 1992.
3. Межевов А. Исследование потребителей и стабильность рынка //Маркетинг. - 2006.
4. Конно Т. Стратегия и структура предприятий. М.: Прогресс, 2003.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <http://www.geostat.ge/>
6. Седов В.И. Маркетинг промышленных товаров. М.: Прогресс, 2003.
7. იმერეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგია. თბილისი, 2012.
8. ე. ბარათაშვილი, გ. ჯოლია, ნ. გრძელიშვილი, ი. მამალაძე, დ. სეხნიაშვილი, დ. ნახვაშვილი. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. თბ., 2012.

ციცინო ღავითულიანო

გეოგრაფიის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საქართველოს კარსტული მღვიმეები და მათი ტურიზტული გამოყენება¹

საქართველო კარსტული მღვიმეების კლასიკურ ქვეყანას წარმოადგენს. კარსტულ რელიეფს ქვეყნის მთელი ტერიტორიის 6,4% უკავია, სადაც მათი რიცხვი 1100-ზე მეტია. მათგან ყველაზე გრძელი (20 კმ) მღვიმური სისტემა წყალტუბოშია. კარსტული მღვიმეები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, მდ. ფსოუდან ერწოს ტბამდე. აღიშნულ მონაკვეთზე კარსტული ზოლის სიგრძე 320 კმ-ს აღემატება, ხოლო მაქსიმალური სიგანე 30 კმ-ს. კარსტული მღვიმეები მრავალმა მეცნიერმა შეისწავლა, მაგრამ პირველობა ამ მხრივ ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის. 1986 წელს შეიქმნა პირველი ქართული სპელეოკლუბი „თბილისი“, ორი წლის შემდეგ „მარიონი“, რომელშიც პირველი ქალი სპელეოლოგები გაერთიანდნენ. 1999 წელს ორივე კლუბის გაერთიანებით შეიქმნა „საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი“.

მრავალრიცხოვანი კარსტული მღვიმეების არსებობის გამო იმერეთში შეიქმნა დაცული ტერიტორიების ახალი სისტემა „იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები“, რომელშიც გაერთიანდა სათაფლიისა და პრომეთეს მღვიმეები და 17 ბუნების ძეგლი

¹ სტატიის სრული ვერსია იხილეთ ამავე ნომრის რუსულენოვან ნაწილში

საქართველოს სპელეოლოგთა კავშირი

(504,6 ჰა საერთო ფართობით).

სტატისტიკური კვლევებმა დაადასტურა, რომ ყველაზე მეტი ვიზიტორი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურის ობიექტებზე - პრომეთესა და სათაფლიის მღვიმეებზე მოდის – საერთო ვიზიტორთა 31%.

ტურისტული მოტივაციის თვალსაზრისით, თანამედროვე სპელეოტურიზმი 3 ძირითად მიმართულებად იყოფა: ექსტრემალურ (Caving), სანახაობრივ (Show Cave Tourism) და სამკურნალო (Speleotherapy). საქართველოში სამივე მათგანის განვითარებაა შესაძლებელი. **ექსტრემალური სპელეოტურიზმი (Caving)** რეკრეაციული სპორტის სახეობაა, რომელიც დაკავშირებულია კეთილმოწყობილი, პირველსახეშენარჩუნებული მღვიმეების აღმოჩენასთან, დალაშქვრასთან, შესწავლასთან. შესაბამისად, ამ მიმართულების ობიექტს უნდა ახასიათებდეს შეუსწავლელი, ხშირ შემთხვევაში გარკვეული ხიფათის შემცველი, ექსტრემალური გარემო, რომლის დალაშქვრაც სპეციალური სპორტული უნარის გამოვლენას მოითხოვს. ექსტრემალური სპელეოტურიზმისთვის აუთოვისებელი მღვიმეები მსოფლიოში სულ უფრო ნაკლები დარჩა, ამიტომ შეუსწავლელობის ფაქტორი, ჩვენი რამდენიმე მღვიმისთვის შეიძლება ხელსაყრელიც კი აღმოჩნდეს.

სპელეოტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ტურიზმის დარგია. სხვა რესურსებისაგან განსხვავებით კარსტული მღვიმის გადაქცევა ტურისტულ-რეკრეაციულ ობიექტად საჭიროებს: დიდ ფულად სახსრებს, მაღალი დონის უსაფრთხოების წესებს, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდებს და მაღალი ეკოლოგიური სტანდარტების მიღწევას. ზემოთაღნიშნული ფაქტორები ადასტურებს იმას, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი სპელეოტურისტებისა ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი საქართველოში სპელეოტურიზმის აღორძინებისათვის.

ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საპროექტო იდეის საბაზრო ორიენტაციის მენეჯმენტი

თანამედროვე ეტაპზე, პროექტები ბიზნესის კეთების სტანდარტული გზა გახდა. ყოველდღიურად ბაზარი გვთავაზობს სულ უფრო ახალ პროდუქტსა და მომსახურებას, ხოლო უკვე არსებულს გაცილებით უფრო სწრაფად გაუდის ყავლი, ვიდრე ჩვენ ვასწრებთ მათი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას. შესაბამისად, ორგანიზაციები, რომლებიც მთელი ძალით ცდილობენ არ ჩამორჩნენ თავიანთ კონკურენტებს, იძულებულნი არიან გამოიმუშაონ მის სამოქმედო ინდუსტრიაში განხორციელებული ცვლილებებისადმი სწრაფი შეგუების უნარი, რაც მათი წარმატების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.

ზოგადად, საპროექტო იდეა - ეს არის სრული წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ, რა მოქმედებითაა შესაძლებელი პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მისი ფორმირებისას ყოველთვის არის რაღაც ისეთი, რაც ბიძგს აძლევს ამგვარ გადაწყვეტილებას და რაც შესაბამისად, აიძულებს ორგანიზაციის მენეჯმენტს იფიქროს მომავალი პროექტის შესაძლო ვარიანტებზე. ამ ფაქტის გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის მნიშვნელოვანია: გლობალური კონკურენცია და მომხმარებელზე გაზრდილი ორიენტაცია.

საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ეტაპზე ფირმებს შესაძლებლობა აქვთ სწრაფი რეაგირება მოახდინონ მსოფლიო ბაზრებზე მომხმარებელთა ცვლილებებზე ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ეს აქამდე იყო შესაძლებელი. ახალი იდეები, რომლებიც განხორციელდა ერთ ქვეყანაში თითქმის სინქრონულად, მათი წარმოქმნის მომენტიდან რამდენიმე წუთში, გადაიცემა ნებისმიერ სხვა ქვეყანასაც. ეს კი საშუალებას იძლევა მოხდეს ინფორმაციის სწრაფი გაცვლა ახალ ნაკეთობებზე, რომელმაც შეიძლება გაყიდვების მოცულობის მკვეთრი გადიდება (შემცირება) გამოიწვიოს. ანუ, იმის შედეგად, რომ ფირმებს შეუძლიათ სწრაფად მოახდინონ რეაგირება წარმოებისა და გასაღების პირობების შეცვლაზე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციამ დღეს მიიღო გლობალური ხასიათი.

თავის მხრივ, ორგანიზაციათა შორის გაზრდილი კონკურენცია იწვევს მომხმარებლების განსაკუთრებულ ორიენტაციას. დღეისათვის, მომხმარებელი იძენს არა ყველა პროდუქტსა თუ მომსახურებას, არამედ იგი მოითხოვს მასზე მორგებულ პროდუქტს, რომელიც აკმაყოფილებს მის სპეციფიკურ მოთხოვნებს. რაც, თავის მხრივ, მოითხოვს უფრო ახალ ურთიერთობას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. შუამავლებიც კი, რომლებიც მუშაობენ რა თავის მომხმარებლებთან მათი უნიკალური მოთხოვნებისა და სურვილების დასაკმაყოფილებლად,

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის 2014-2016 წლების განხორციელების გეგმა

ფაქტიურად იმავე ფუნქციას ემსახურებიან.

ყველა ბიზეს-წარმატება ფაქტიურად საპროექტო იდეით იწყება. ანუ, საპროექტო იდეა წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ აღმოჩენილ მომხმარებლის შესაძლო ინტერესს, რომელიც წარმატებული მენეჯმენტის ხელში კონკრეტულ ეკონომიკურ ფორმას იძენს. იდეები უამრავია, საჭიროა მათ შორის საუკეთესოს შერჩევა. ბუნებრივია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი მხოლოდ იმ იდეებს შეარჩევს, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა, მისი თვალსაზრისით, შესაძლებელია. თუმცა, მათ შორის საუკეთესოს შერჩევა ხდება იმ სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც ორგანიზაციის მენეჯმენტი ისახავს. მაგალითად, გვაქვს ორი საპროექტო იდეა: “A” და “B”. მათგან “A” იდეის საფუძველზე შესაძლებელია ახალი საქონლით ბაზარზე ოთხ თვეში გასვლა, ხოლო “B” იდეის საფუძველზე კი - სამ თვეში. ამასთან “A” იდეა მითხოვს 100 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიციას, ხოლო “B” იდეა 150 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიციას. ფაქტია, რომ თუ ორგანიზაციის მენეჯმენტს სურს, რაც შეიძლება მალე გავიდეს ბაზარზე ახალი საქონლით, მაშინ პრიორიტეტულ იდეად ის შეარჩევს იმას, რომლის მოსამზადებელი დრო იქნება ნაკლები. ანუ გააკეთებს არჩევანს “B” იდეის სასარგებლოდ. ხოლო თუ კრიტერიუმად აიღებს ინვესტირების მინიმუმს, მაშინ შეირჩევს “A” იდეას.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა - მართლაც ამ ორი ვარიანტიდან რომელია უკეთესი? პასუხიც მარტივია - ის საპროექტო იდეა, რომელიც ინვესტიციის სწრაფ უკუგებას უზრუნველყოფს. ანუ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს, რომლის მიხედვითაც ხდება პროექტის შერჩევა არის მისი ფინანსური კრიტერიუმი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს საპროექტო იდეათა ფარდობითი ანალიზის ძალიან ბევრი მოდელი, რომელთა არჩევა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ინდუსტრიის სფერო, ორგანიზაციის ზომა, წარმოების ტიპი, რისკის დონე, ტექნოლოგიები, კონკურენცია, ბაზრები, მართვის სტილი და ბევრი სხვა ფაქტორი, რომლებიც საკმაოდ გავლენას ახდენენ საპროექტო იდეათა ანალიზზე. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ორი ფინანსური მოდელი იქცევა. ესენია: უკუგების მოდელი და დისკონტირებული წმინდა შემოსავალი.

- **უკუგების მოდელი.** ეს მოდელი აქცენტს აკეთებს დროის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც ხდება პროექტში ინვესტირებული თანხის ამოღება. რაც უფრო მცირეა ინვესტიციათა უკუგების პერიოდი, მით სასურველია საპროექტო იდეა. უკუგების მოდელი არის პროექტის შეფასების ყველაზე მარტივი და ფართოდ გამოყენებული მეთოდი, რომელიც ხაზს უსვამს ფულადი სახსრების მიმოქცევას - ბიზნესის ძირითად ფაქტორს. თუმცა, უკუგების მოდელის ძირითადი ნაკლი ის არის, რომ ეს მეთოდი მხედველობაში არ იღებს ფულის ღირებულებას დროში.

- **დისკონტირებული წმინდა შემოსავალი.** ეს მეთოდი ახდენს სხვადასხვა დროში გაწეული დანახარჯებისა და მიღებული შემოსავლების დისკონტირებას (შესადარისობაში მოყვანას ფულადი სახსრების დღევანდელ ღირებულებასთან). შესაბამისად, ის საპროექტო იდეაა უკეთესი, რომელიც იძლევა დადებით წმინდა შემოსავალს და აღწევს სასურველ, მაღალ დისკონტირების კოეფიციენტს. რაც უფრო მაღალია პოზიტიური წმინდა დღევანდელი

ღირებულება, მით სასურველია ასეთი საპროექტო იდეა.

როგორც აღინიშნა, საპროექტო იდეების ანალიზის დროს გადამწყვეტ როლს ასრულებს ის მიზანი, რომლითაც ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მენეჯმენტი. მაგრამ იდეის საბოლოო წარმატებისათვის, საჭიროა ასევე საპროექტო იდეის საბაზრო ორიენტაცია. ბაზარზე ორიენტირებულ მენეჯმენტს უნდა შეეძლოს საბაზრო სიტუაციის შესწავლა, მისი გაანალიზება და მოსალოდნელი ცვლილებების განჭვრეტაც კი.

საბაზრო ორიენტაციის მენეჯმენტიც კი შეიცავს რისკის ელემენტებს. ეს რისკი უშუალო კავშირშია ბაზრის კონიუნქტურასთან, როგორც საქონლის სადღეისო მიწოდების მომენტში, ასევე (მით უმეტეს) პერსპექტივაში. ბუნებრივია, ბაზარზე ახალი საქონლის მიწოდების დაწყებაზე ძნელია მასზე მომხმარებელთა ზუსტი რეაქციის ამოცნობა. მაგრამ წარმატების მსურველი მენეჯერი მაინც უნდა ცდილობდეს ბაზრის შესწავლას და მისი განსჯით, გარკვეულ დასვენებს უნდა აკეთებდეს. როგორც წესი, ობიექტური მონაცემების მიღება ბაზრის შესახებ დაკავშირებულია მოთხოვნა-მიწოდების შესწავლასა და შესათავაზებელი ახალი საქონლის ფასის პროგნოზირებასთან.

ბაზრის, მოთხოვნა-მიწოდების პოზიციით, შესწავლამ უნდა გამოავლინოს, თუ როგორი თანაფარდობაა მოსალოდნელი იმ საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, რომლის წარმოებასაც ორგანიზაცია აპირებს. თუმცა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ზუსტი ინფორმაციის მიღება მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის შესახებ პრაქტიკულად შეუძლებელია. მით უმეტეს, იმ საქონელზე, რომელიც ჯერ არ არსებობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შევისწავლოთ ეს საკითხი. საქმე იმაშია, რომ თანაფარდობის გამოვლენა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის საშუალებას აძლევს ორგანიზაციის მენეჯმენტს უპასუხოს კითხვას: ღირს თუ არა ამ იდეის რეალიზაცია, თუ უმჯობესი იქნებოდა სხვა ვარიანტებზე ფიქრი? ხოლო, თუ ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსალოდნელი მოთხოვნა შესათავაზებელ საქონელზე აღემატება მიწოდებას, ასეთი საქონლის წარმოება გამართლებულია. თუმცა, ასეთი ანალიზი, ყველაზე დამამედებელი შედეგების მიღების შემთხვევაშიც კი, ჯერ კიდევ არაა საკმარისი რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროა საინფორმაციო ბაზის გაფართოება - მოსალოდნელი ფასის პროგნოზირება.

ფასის პროგნოზირება - ეს არის გაირკვეს, თუ როგორი ფასია მოსალოდნელი შესათავაზებელ საქონელზე. როგორც აღინიშნა, ბაზარზე ახალი საქონლის გასვლა სარისკო საქმიანობას წარმოადგენს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ორგანიზაციის მენეჯმენტი ცდილობს შეამციროს შესაძლო რისკის ხარისხი. მოცემულ შემთხვევაში მას შეუძლია ამის მიღწევა, თუ კი, მარკეტლოგებს შესთავაზებს, რომ შემოსავლების გაანგარიშების საფუძველად აიღონ არა მოსალოდნელი საშუალო საბაზრო ფასი, რომელიც არსებობს მსგავს საქონელზე (ბუნებრივია, მოსალოდნელი კონკურენტული უპირატესობის გათვალისწინებით), არამედ მაქსიმალურად დაბალი ფასი კონკრეტული ბაზრის პირობებში.

ცალმხრივი მისწრაფება კი ვერ განაპირობებს ვერც საზოგადოებისა და ვერც თვით ბიზნეს-მენის პრობლემების გადაწყვეტას. ამ მხრივ მთავარია, ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა გაითავისონ, რომ მათი ინტერესები, პირდაპირ და უშუალო კავშირშია მთელი საზოგადოების ინტერესებთან.

მენეჯმენტი არ წარმოადგენს ყველა სამეურნეო უბედურების პანაცეას, ასევე სამზარეულოს რეცეპტების წიგნს, ამჟამად მენეჯმენტი იქცა შემოქმედებით პროცესად, რომელიც საკმაოდ სწრაფად გარდაიქმნება მოღვაწეობის სრულიად ახალ ფორმებად და მიმდინარეობად. როგორც კი ის იწყებს ჩამორჩენას რეალურ მოთხოვნილებებთან და ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს, იგი ტრანსფორმირდება. მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფექტურია ერთი დარგისთვის და ერთი კონკრეტული სიტუაციისთვის, შეიძლება წამგებიანი გამოდგეს სხვა დარგებისა და სიტუაციებისათვის. გადაწყვეტილებათა მრავალფარიანტულობა, სამეურნეო კომბინაციების მოქნილობა და არაორდინალურობა, ყოველი საქმიანი სიტუაციის უნიკალურობა შეადგენს დღევანდელი მენეჯმენტის საფუძველს. ამიტომ, აქცენტი მენეჯმენტის საქმიანობაში კეთდება არა სტანდარტულ გადაწყვეტილებებზე, არამედ უნარზე, სწრაფად და სწორად შევაფასოთ რეალური სამეურნეო სიტუაცია და მოვებნოთ ის ერთადერთი შესაძლო მიდგომა, რომელიც წარმოადგენს ოპტიმალურს კონკრეტულ პირობებში.

საბაზრო ურთიერთობებს, როგორც ცნობილია გააჩნია განვითარების საკუთარი ლოგიკა, საკუთარი კანონები და პრინციპები. პრაქტიკაში ეს ბევრი ჩვენი ხელმძღვანელისათვის ჯერ კიდევ უცნობია. ბაზარი გეთავაზობს ცხოვრების სრულიად სხვადასხვა პირობებს. ის მოითხოვს მმართველებისაგან პრინციპულად ახალ თვისებებს, პირველყოვლისა მენეჯმენტის მაღალ დონეზე ფლობას, ინიციატივას, სამეურნეო დამოუკიდებლობას, ფხიანობას, რისკისადმი მზადყოფნასა და ბევრ სხვა თვისებას. ამასთან ბაზარი კავშირშია უმუშევრობასთან, ადამიანთა უმრავლესობის უიმედო განწყობასთან მომავალში. გამომდინარე აქედან, მთავარია უზრუნველყოთ მომუშავეთა სოციალური დაცვა და განსაკუთრებული ზომების მიღება ამ სფეროში.

მენეჯმენტის განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენს კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. ფირმის მდგომარეობის მუდმივი, პრაქტიკულად ყოველდღიური კონტროლის გარდა ყოველწლიურად, ყოველკვარტლურად უნდა მიმდინარეობდეს ბაზარზე მისი მდგომარეობის სერიოზული სიტუაციური ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვიყენოთ ადრე უცნობი რეზერვები, გამოვასწოროთ ადრე დაშვებული შეცდომები, ავამაღლოთ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, სრულყოთ დაგეგმვა საწარმოში.

ჩვენი მენეჯერებისათვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს საწარმოო და შრომითი დისციპლინის გასაძლიერებლად მუდმივად მუშაობა, უფრო ზუსტად, ახალი დისციპლინის შექმნა, შრომისადმი ახალი დამოკიდებულება. ადამიანები 70 წელზე მეტი დროის განმავლობაში შეეჩვივნენ არა იმდენად მუშაობას, არამედ მოჩვენებით მუშაობას. ამ ფსიქოლოგიასთან საბრძოლველად საჭიროა მატერიალური და მორალური სტიმულების დანერგვა ყოველი მუშაკის რეალური შრომის შედეგის მიხედვით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მენეჯმენტი

პირველ ყოვლისა ეს არის ადამიანთა ურთიერთობა, მათი წაქეზება იქითკენ, რომ მაქსიმალური წვლილი შეიტანონ ფირმის მუშაობაში და ამისთვის მოხდეს მათი სათანადო წახალისება.

მომუშავეთა გათანაბრების, პროფესიული ზრდისა და კარიერის კეთების სიძნელეების გამო ადამიანები გადაეწვივნენ პატიოსან მუშაობას. ურთიერთობების ჩამოყალიბებულ სტანდარტს წარმოადგენს: ხელმძღვანელი – დაქვემდებარებული და არა კოლეგები და ერთიანი ჯგუფი. ადრე კოლექტივი იყო გათიშული. ყოველი ქვედანაყოფი ზრუნავდა მხოლოდ საკუთარი გეგმების მიღწევაზე. კოლექტივი არ მუშაობდა როგორც ერთიანი სისტემა და ეფექტიანობა იყო ძალზე დაბალი. მსგავსი მოვლენის თავიდან აცილება და ისეთი ჯგუფების ჩამოყალიბება, სადაც თითოეულმა ზუსტად იცის თავისი გასაკეთებელი საქმე; სწორად ორგანიზებული ურთიერთქმედება და ურთიერთდახმარება მენეჯერის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა. აუცილებელია ზუსტად განესაზღვროთ თითოეული მუშაკის ფუნქცია, მისი სხვებთან ურთიერთდამოკიდებულების სისტემა და ასევე მოვიქცეთ ქვედანაყოფებისათვისაც: მოვახდინოთ კოორდინაცია და კონტროლი მათი მუშაობის შედეგებზე. რამდენადაც საქართველოში მომუშავე როგორც წესი ვერ გრძნობს თავს საწარმოს მესაკუთრედ, ამიტომაცაა რომ ადგილი აქვს ხშირად ქურდობას, გულგრილ დამოკიდებულებას როგორც მომუშავეების, ასევე ფირმის საკუთრებისადმი.

იმისათვის, რომ ყოველმა მომუშავემ თავისი პოტენციალი, მთელი თავისი შესაძლებლობები გამოიყენოს პროდუქციის ხარისხის, შრომის ნაყოფიერებისა და ფირმის მომგებიანობის გასაზრდელად, საჭიროა “შრომის გამდიდრების”, “შრომითი ფუნქციების” მეთოდების დანერგვა.

“შრომის გამდიდრების” პროგრამების მიხედვით მომუშავეებს ენიჭებათ დამატებითი უფლებამოსილებები გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებაზე, მიმდინარე საქმიანობის საკითხებზე; ექმნებათ პირობები დამოუკიდებლობისა და შემოქმედებითი მისწრაფებების გამოსავლენად, რაც ზრდის ინტერესს სამუშაოსადმი; თითოეული მუშაკისათვის უზრუნველყოფილია კარგი “უკუკავშირი” თავის ხელმძღვანელობასთან.

ეჭვგარეშეა, რომ თუ მენეჯერები ფირმას განიხილავენ როგორც ადამიანებისაგან შემდგარ ცოცხალ ორგანიზმს, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო მიზნებით, ისე როგორც “კლანი” და არჩევანს გააკეთებენ თვითრეალიზებად ადამიანებზე, შეძლებენ მიაღწიონ განუზომლად მაღალ შედეგებს. თანამშრომლობის შედეგიანობა კი პირდაპირპროპორციულია ფირმის წარმატებისა.

დღეს, ქართული ბიზნესის აღსაჭურვავად გამოიყენებულ უნდა იქნეს ყველა ის ინოვაცია, რომლებიც დამახასიათებელი იყო XX საუკუნის ბოლო წლებისათვის. ასევე ნათელია, რომ საქართველოში მოქმედებაში უნდა იქნეს შეყვანილი ყველა ის განსაკუთრებული მენეჯმენტისა, რომლებმაც უკვე დადებითი შეფასება მიიღეს პრაქტიკაში.

ბოლნისის რაიონი

ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ბიზნესის რისკების იდენტიფიკაცია

თანამედროვე ბიზნესში მრავალი სახის რისკი შეიძლება წარმოიშვას, რომელსაც მენეჯერების მხრიდან ყურადღების მიქცევა და მინიმუმამდე დაყვანა ესაჭიროება. რისკის იდენტიფიკაცია არ უნდა ავურიოთ რისკის შეფასებაში. რისკის შეფასების დროს ჩვენ ვადგენთ, რა გავლენას ახდენს ესა თუ ის საფრთხე ორგანიზაციის ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. რისკის იდენტიფიკაციის ეტაპზე ჩვენ ვაგროვებთ გარკვეულ ხარისხობრივ ან რაოდენობრივ ინფორმაციას მოცემული საფრთხის შესახებ, ხოლო შეფასების ეტაპზე ამ ინფორმაციის დეტალურ ანალიზს ვახორციელებთ, რათა რისკის სიმძიმის დონე დავადგინოთ. რისკის იდენტიფიცირების პროცესში ჩვენ პასუხს ვცემთ მთავარ კითხვას: რა შეიძლება მოხდეს?

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, რისკის იდენტიფიკაცია რამდენიმე ელემენტის რეალიზაციას მოიცავს: ა) საფრთხის, როგორც სიტუაციის გამოვლენას; ბ) საფრთხის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ აღწერას; გ) საფრთხის მიზეზების გამოვლენას.

რისკის იდენტიფიკაცია რამდენიმე ელემენტის რეალიზაციას მოიცავს: ა) საფრთხის, როგორც სიტუაციის გამოვლენას; ბ) საფრთხის რაოდენობრივ ან ხარისხობრივ აღწერას; გ) საფრთხის მიზეზების გამოვლენას.

რისკის შემთხვევების გამოვლენის მიზნით, შეიძლება მივმართოდ საწარმოო პერსონალს, ექსპერტებს, დაინტერესებულ პირებს ან მენეჯერებს და გამოვიყენოთ ინფორმაცია საწარმოო პროცესების შესახებ, საბუღალტრო ინფორმაცია და ა.შ.

არსებობს რისკების აღმოჩენისა და იდენტიფიკაციის მრავალი გზა, ჩვენი მიზანია მენეჯერებს დაგვანახოთ ბიზნესის რისკების იდენტიფიცირების სახეობებიდან, ჩვენს მიერ განხილულ მეთოდებს რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნია, რათა თვითონ ხელმძღვანელებმა ამოირჩიონ რისკების გამოვლენის მეთოდები და გაიაღვილონ რისკების მინიმუმამდე დაყვანა. ამისთვის ყურადღებას გავამახვილებთ რისკების იდენტიფიცირების რამდენიმე აქტიურად გამოყენებად მეთოდებზე.

დავიწყოთ იქედან, რომ ყველაზე გავრცელებული მეთოდია - „ბრინჭორმინგი“, სადაც შეხვედრაში მონაწილეობს კომპანიის 10-15 თანამშრომელი და შეხვედრა დაახლოებით 1,5 - 2 საათს მიმდინარეობს. როცა შეხვედრა იწყება წამყვანი მიმართავს მონაწილეებს რათა დაასახელონ და ჩამოთვალონ კომპანიის წინაშე შესაძლო წარმოსაშობი რისკები, ამის შემდეგ კი გამოიკვეთება რეალური რისკები და მენეჯერებმა უნდა იზრუნონ ამ რისკების შემცირებაზე. არსებობს სხვა ინსტრუმენტებიც, მათ შორის: დოკუმენტაციის მიმოხილვა; „დეფოს“ ტექნიკა; ნომინალური ჯგუფის ტექნიკა; კროფორდის მეთოდი; ინტერვიუ ექსპერტებთან; ძირეული მიზეზების იდენტიფიცირება; მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

დოკუმენტაციის მიმოხილვა მოიცავს ყველა იმ დოკუმენტურ მასალას, რომლებიც მოგროვებული იქნა რისკის იდენტიფიკაციის დაწყებამდე. აქ შედის წინა პერიოდში შემუშავებული

და რეალიზებული რისკის მართვის სტრატეგიები; სხვადასხვა სახის კონტრაქტები მომწოდებლებთან ან მომხმარებლებთან; ორგანიზაციის ფინანსური დოკუმენტაცია; საშტატო განრიგი და ა.შ.

დელფის ტექნიკა „ბრენშტორმინგის“ მსგავსია, მაგრამ ამ დროს კვლევის მონაწილეები ერთმანეთს არ იცნობენ. ამ ტექნიკის მონაწილეები ანონიმურები არიან, ამდენად, შეიძლება მივიღოთ იდეების ძალიან დიდი ნაკადი. აქ ელექტრონული ფოსტა აქტიურად გამოიყენება. ამ დროს ადამიანი ვერ დომინირებს, რასაც ადგილი აქვს „ბრენშტორმინგის“ დროს - თუ, მაგალითად შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე უფრო მაღალი დონის მენეჯერია, სხვა მონაწილეები ან ბრკოლდებიან, ან ცდილობენ თავი გამოიჩინონ მის წინაშე. „დელფის“ ტექნიკა ამგვარ სიტუაციას არ ქმნის.

„დელფის“ ტექნიკის განხორციელებაში მონაწილეებს შუამავალი, რომელიც იყენებს კითხვარს, რათა მოაგროვოს რისკთან დაკავშირებული იდეები კონკრეტული ორგანიზაციის ირგვლივ. შემდეგ შუამავალი ახდენს მონაწილეთა პასუხების კლასიფიკაციას. კლასიფიცირებული, კატეგორიზებული სია ეგზავნება მონაწილეებს კომენტარებისა და დამატებებისათვის. ჯგუფის წევრებს შეუძლიათ თავიანთი პოზიციის შეცვლა, მაგრამ არგუმენტირების შემდეგ.

„დელფის“ ტექნიკას არ ახასიათებს ის უმთავრესი ნაკლოვანება, რომ მონაწილეებმა არ იციან ერთმანეთის შესახებ, რაც თავიდან აცილებს ერთმანეთზე პიროვნულ ზეწოლას, სულელური იდეების გატანის მცდელობას, ანდა სხვების მხრიდან დაცინვის მომენტს. თუმცა მასაც გააჩნია უარყოფითი მხარეები, კერძოდ შუამავალი დიდ მუშაობას ასრულებს კითხვარის შედგენაზე და პასუხების სისტემაზე, რა დროსაც შეიძლება მიიღოს მისი სასურველი შეხედულების შედეგები. შუამავალი ახორციელებს მონაწილეთა პასუხების ანალიზსა და კატეგორიზაციას, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს მისი სუბიექტური დამოკიდებულება მოცემული საფრთხისადმი.

ნომინალური ჯგუფის ტექნიკა. ეს მეთოდი ცდილობს შეამციროს ის ნაკლოვანებები, რომლებიც „ბრენშტორმინგისა“ და „დელფის“ მეთოდებს გააჩნიათ, კერძოდ, ადამიანთა კომპლექსები და მონაწილეობის სურვილის არქონა. ჯგუფი კომპლექტდება 7-10 მონაწილით. ინსტრუქტორი თხოვს მონაწილეებს, დამოუკიდებლად და ჩუმად ჩამოწერონ იდეები ფურცელზე და შემდეგ ინსტრუქტორი ამ იდეებს ჩამოწერს დაფაზე და იწყება დისკუსია.

დისკუსიის დროს ხდება იდეების გაშლა, ამის შემდეგ ჯგუფის ყოველი წევრი დამოუკიდებლად ახდენს იდეების რანჟირებას მნიშვნელობის მიხედვით. ასეთი პროცედურა ამცირებს ჯგუფში მაღალი თანამდებობის პირის მონაწილეობის ეფექტს, თუმცა მთლიანად არ აქრობს მას, როგორც ეს „დელფის“ მეთოდის შემთხვევაში ხდება. ნომინალური ჯგუფის ტექნიკა უფრო სწრაფად ხორციელდება და მოითხოვს უფრო ნაკლებ ძალისხმევას წამყვანის მხრიდან, ვიდრე „დელფის“ მეთოდი.

კროუფორდის მეთოდი. ეს მეთოდი „ბრენშტორმინგის“ მეთოდის კიდევ ერთ სახესხვაობას წარმოადგენს. კროუფორდის მეთოდის საფუძველზე რისკების იდენტიფიცირება შეიძლება ნახევარი საათის განმავლობაში განხორციელდეს.

ჯგუფი შედგება 7-10 კაცისაგან, თუმცა ფართო აუდიტორიასთანაც შეიძლება მუშაობა. წამყვანი უხსნის ჯგუფის წევრებს, რომ ის დასვამს შეკითხვას 10-ჯერ, ყოველმა მონაწილემ

ყველა კითხვას განსხვავებულად უნდა უპასუხოს. მონაწილეები ყოველი კითხვის პასუხს ცალ-ცალკე ფურცელზე წერენ, საპასუხოთ ერთი წუთი აქვთ. მაგალითად: „რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხე ამ კონკრეტული საწარმოსათვის“? მონაწილეები წერენ პასუხს. ერთი წუთის შემდეგ წამყვანი იმეორებს კითხვას, ასე მეორდება 10-ჯერ. ეფექტი ის არის, რომ მონაწილეები დაფიქრდებიან 10 სხვადასხვა საფრთხეზე მოცემული საწარმოსათვის. მიუხედავად გარკვეული დუბლირებებისა მონაწილეებს შორის, იდენტიფიცირებული რისკების ოდენობა საკმაოდ მოცულობითი შეიძლება აღმოჩნდეს.

ინტერვიუ ექსპერტებთან. ექსპერტებს, რომელთაც გააჩნიათ მსგავს ორგანიზაციაში მუშაობის, ან მსგავსი პრობლემების გადაჭრის გამოცდილება, შეუძლია დიდი დახმარების გაწევა კონკრეტული საწარმოსათვის: ექსპერტს შეუძლია კარგად შეაფასოს კომპანიის შიდა და გარე გარემო და დაინახოს ძირეული საფრთხეები; მას შეუძლია ჩამოთვალოს ტიპიური რისკები და ამ რისკების მართვის აპრობირებული სტრატეგიები; მათი დახმარებით მეწარმეს შეუძლია თავიდან აიცილოს ძირითადი საფრთხეები და გამოიყენოს ამისათვის უკვე არსებული დამოცდილება.

ექსპერტის შეხედულების გამოყენებისას გარკვეული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა საწარმოს სტრატეგიული მიზნები და ანტისარისკო ღონისძიებები ერთმანეთთან შეუსაბამობაში არ მოვიდნენ.

ინტერვიუს ჩატარებამდე ექსპერტს უნდა გადაეცეს საწყისი ინფორმაცია და კარგად უნდა აეხსნას ინტერვიუს მიზნები. ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაცია ჩაწერილი უნდა იქნას. თუ ხორციელდება ერთზე მეტი ექსპერტის ინტერვიუება, უნდა ხდებოდეს მიღებული ინფორმაციის მოკრება და მოძრაობა სხვადასხვა ექსპერტს შორის მანამ, სანამ არ მიიღება განხილული საკითხის დეტალური სურათი.

ძირეული მიზეზების იდენტიფიცირება. ყოველი საფრთხის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება გვეხმარება გავიგოთ, როგორია რისკის წარმოშობის მექანიზმი, რატომ იქმნება საფრთხის შემცველი სიტუაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის შემოსავლების შემცირება, დანახარჯების გადიდება, ან გარკვეული დანაკარგები. ამ დროს გადაწყვეტილების მიმღები პირი ეძებს ფარულ მიზეზებს, რომელთა აღმოჩენა და კონტროლირება შესაძლებელია. ძირეული მიზეზების იდენტიფიკაციის პროცესი გამოავლენს პრობლემის მთავარ მიზეზებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ანტისარისკო ღონისძიებების შემუშავებისათვის.

ხშირად ადამიანები აფიქსირებენ პრობლემის სიმპტომებს, რათა მათი დანახვა ძნელი არაა. მაგრამ პრობლემის სიმპტომების დაფიქსირება არ იძლევა საშუალებას შემუშავდეს ისეთი ღონისძიება, რომელიც ამ პრობლემას გადაჭრის. საფრთხის ძირეული მიზეზების დაფიქსირებით კი თავიდან ავიცილებთ მის წარმოშობას მომავალში. ეს ისეთი ფაქტორებია, რომელზეც ზემოქმედება შეიძლება. მაგალითად, ძლიერი დელვის გამო გემი ერთი კვირის დაგვიანებით შემოვიდა ნავსადგურში, რის გამოც მიმწოდებელმა ვერ შეასრულა კომპანიის მიმართ აღებული ვალდებულებები და დააგვიანა პროდუქციის მიწოდება. თუმცა პრობლემის ძირეული მიზეზი ქარბუქი კი არ არის, არამედ კომპანიის ხელმძღვანელს არა აქვს სასაწყობო მარაგები აწყობილი იმგვარად, რომ ფორსმაჟორულ სიტუაციაში არ განიცადოს პროდუქციის დეფიციტი. ასევე არ აქვს გათვალისწინებული მიწოდების ალტერნატიული წყაროები, რომლებსაც ამგვარი შემთხვევების დროს გამოიყენებდა.

ჩვენს მიერ განხილული მეთოდების დადებითი და უარყოფითი თვისებები:

„ბრენშტორმინგი“ სტიმულს აძლევს ჯგუფში ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მისი განხორციელება სწრაფად შეიძლება და არ საჭიროებს დიდ დანახარჯებს. მაგრამ არის საფრთხე, რომ ჯგუფის რომელიმე წევრი სხვაზე დომინირებდეს. მის განხორციელებას კვალიფიციური წამყვანი ესაჭიროება.

დოკუმენტაციის მიმოხილვა კარგია იმით, რომ იძლევა დაზუსტებულ ინფორმაციას. მაგრამ ეს არის მხოლოდ შიდა ინფორმაცია. დოკუმენტაციის მიმოხილვის დროს შეზღუდულია გარე ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები.

„დედფის“ მეთოდი გამორიცხავს ერთი ინდივიდის დომინირებას მეორეზე, მისი განხორციელება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მის განხორციელებას დიდი დრო სჭირდება. ამავე დროს წამყვანი დიდი მოცულობის სამუშაოებს ასრულებს კლასიფიცირებასთან დაკავშირებით.

ნომინალური ჯგუფის მეთოდი ამცირებს ინდივიდის სხვა წევრებზე დომინირების ხარისხს, ხელს უწყობს გამოკითხვის მონაწილეთა ურთიერთობებს და მთავრდება რისკების ჩამოწერილი სიით. ამავე დროს, მისი განხორციელებისათვის შედარებით მეტი დროა საჭირო, ასევე აუცილებელია კვალიფიციური წამყვანის არსებობა, რომელიც ჯგუფის მუშაობას წარმართავს და ძირითად დასკვნებს გააკეთებს.

კროფორდის მეთოდი ძალიან მოკლე ვადებში შეიძლება განხორციელდეს და მისი მსვლელობისას იდეების დიდი რაოდენობით შეიძლება დაფიქსირდეს. ამავე დროს, ჯგუფის წევრებს შორის ნაკლებია ურთიერთობები და აზრთა გაცვლა.

ექსპერტებთან ინტერვიუს დადებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება გამოყენებულ იქნას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული წარსული გამოცდილება. ამავე დროს მას ფინანსური დანახარჯების გაწევა სჭირდება. ასევე არსებობს არასწორი მიმართულების შესახებ რეკომენდაციის მოცემის საფრთხე.

ძირეული მიზეზების იდენტიფიცირება იდენტიფიკაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია იგი შეიძლება გახდეს სხვა მეთოდების შემადგენელი ელემენტიც. მისი გამოყენება ხშირად მოითხოვს გარკვეული დროის დანახარჯებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოგროვებაზე, ვიწრო სპეციალისტთა კონსულტაციების მიღებაზე და ა.შ.

ამდენად, შევეცადეთ გამოგვეყო ბიზნესის რისკების იდენტიფიცირების აქტიურად გამოყენებადი მეთოდები, დაგვენახა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და უშუალოდ კომპანიის მენეჯერებისთვის მიგვენდოთ თუ რომელ მეთოდს გამოიყენებს მისი ბიზნესის რისკების გამოვლენისათვის, რათა სწორად გამოიცილოს და მომზადებული შეხვედეს შესაძლო რისკებს და უზრუნველყოს მისი მინიმუმამდე დაყვანა. ასევე რისკების იდენტიფიცირების მეთოდების შერჩევას ეურადლება უნდა გაგამახვილოთ ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოზე, ბიზნესის სახეობაზე და მენეჯერის მართველობის სტილზე.

ირაკლი კინწუკაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპანია „სოკარი ჯორჯია პეტროლიუმის“ მარკეტინგული სტრატეგიები და წარმატებები

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები, საწარმოთა შორის კონკურენტული ურთიერთობები, მოითხოვენ მწარმოებელთა ბაზარსა და მომხმარებლებზე ორიენტაციას. ასეთი კომპლექსური მიდგომა მოითხოვს საწარმოთა სტრატეგიულ და მიზნობრივ მართვას.

საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა მეწარმეებისაგან მოითხოვს წარმოებებში დანერგონ თანამედროვე ტექნოლოგიები, შეისწავლონ და გამოიყენონ თანამედროვე მარკეტინგისა და მენეჯმენტის პრინციპები. ზოგადად ფირმების სასაქონლო პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ მოხმარების, მოთხოვნისა და მოთხოვნილებების, მათი ცვლილების ხასიათისა და თავისებურებების შესწავლა. ამ ჯგუფების საქონლისადმი მოთხოვნის სპეციფიკის გამოვლენა. ყველა იმ ფაქტორის დადგენა, რომლებიც გავლენას ახდენენ მოთხოვნისა და მოთხოვნილებების ფორმირებაზე. ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს მომხმარებლის სურვილი - ბაზარზე იხილოს სამამულო წარმოების საქონელი, მომსახურება, აქონდეს ამ საქონლის ფართო და მრავალფეროვანი არჩევანი. ამ პირობებში ქართული ფირმებისათვის მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის მისაღები სასაქონლო პოლიტიკის ფორმირება, რისი მიღწევაც შეიძლება უპირველეს ყოვლისა მარკეტინგული კვლევებით.

სწორედ მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შეიძლება აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა და მომხმარებელთა, რაც შეიძლება ფართო ფენების მოთხოვნების შესაბამისი სასაქონლო პოლიტიკის გატარება, ე.ი. მომხმარებელთა მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების სწრაფად და ხარისხიანად დაკმაყოფილება.

სწორედ ასეთ მართვის თანამედროვე პრინციპებს ეყრდნობა საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი სოლიდური ნავთობკომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმ“-ი, რომელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიის „სოკარი“-ს შეიღობილმა კომპანიამ „სოკარ ენერჯი ჯორჯიამ“ დააფუძნა 100% წილობრივი მონაწილეობით. საქართველოს ნავთობ პროდუქტების ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა და 2006-12 წლებში 2 378 582 ტონა ნავთობპროდუქტი აქვს იმპორტირებული. სოკარის პერსონალის ძირითადი პრიორიტეტი სწრაფი და კომფორტული მომსახურებაა.

კომპანიის პირველი ავტოგასამართი სადგური 2008 წლის 25 აპრილს გაიხსნა. დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს სოკარის 110 ზე მეტი ბენზინ გასამართი სადგური. სადაც ასევე წარმატებით ფუნქციონირებს სატალონე და საბარათე მომსახურების 21 სერვისცენტრი. კომპანიაში დასაქმებულია 1500-ზე მეტი ადამიანი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის

კომპანიის სტრატეგიული გეგმა საწვავი პროდუქტების ყოველთვიური ბრუნვის 35000-40000 ტონამდე გაზრდას ითვალისწინებს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, კომპანია საწვავს თანამედროვე სტნდარტების ბაზებში იღებს და ინახავს: დასავლეთ საქართველოში 15000 ტონას და აღმოსავლეთ საქართველოშიც 15000 ტონა საწვავს, რომლის შედეგად, საწვავი პროდუქტებით საქართველოს ბაზარი სტაბილურად უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ხარისხისა და ეკოლოგიურად სუფთა საწვავით იქნება უზრუნველყოფილი.

„სოკარ ჯორჯია პეტროლიუმმა“ ხუთი წლის არსებობის მანძილზე საქართველოს ენერჯო სექტორში ლიდერის პოზიციების დაკავება შეძლო. გარდა ამისა, კომპანია საქართველოს რეგიონიც განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კონკურსში მსხვილ ინვესტირებას ახორციელებს. აღნიშნული პროექტი დასვენებისა და მომსახურების ობიექტის მშენებლობას მოიცავს. ობიექტზე იმუშავებს სწრაფი კვების რეტორანი, სუპერმარკეტი, სავაჭრო ცენტრი, ბავშვთა გასართობი ცენტრი, ტურისტული სააგენტო. აღნიშნული პროექტი საქართველოს დასავლეთის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე ტვირთბრუნვის გაზრდას შეუწყობს ხელს.

კომპანიამ გაითვალისწინა 2013 წლისათვის მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარე საშემოდგომო ხვნა-თესვისა და როველთან დაკავშირებულ სამუშაოები და „სოკარის“ 105 აგს-ზე, ერთი ლიტრა დიზელის ღირებულება 15 თეთრით შეამცირა და 1.90 ლარი შეადგინა, რაც აისახა კიდევ მომხმარებლის აქტივობაზე და გაიაფების შემდეგ რეალიზებული დიზელის მოცულობამ ყოველდღიურად 350 000 ლიტრაზე მეტი შეადგინა. ასევე აღსანიშნავია, რომ 2011 წელს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 197 632 572.82 ლარი შეადგინა. საერთო ჯამში, 2006-2011 წწ კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადახდილმა თანხამ 775 448 992,29 ლარი შეადგინა.

სოკარი ასევე აქტიურად თანამშრომლობს მასმედიათან და აფინანსებს არა-ერთ ტელე პროექტს. დღეისათვის კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებებს მილსადენთან დაკავშირებით, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს, თურქეთსა და ბულგარეთის გავლით, გაზს მიაწვდის. კომპანიის ინვესტიციებისა და მარკეტინგის ვიცე პრეზიდენტმა ელმად ნასიროვმა აღნიშნა: „ჩვენ რუსეთს ვერ შევეჯიბრებით. ის დღეს მსოფლიოში გაზის ერთ-ერთი უდიდესი მომწოდებელია და ასეთად კიდევ მრავალი წლის განმავლობაში დარჩება. თუმცა ბაზრის ნებისმიერი მოთამაშისთვის აუცილებელია მრავალფეროვნება.“

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში „სოკარ ჯორჯია გაზი“ საქართველოს რეგიონებისთვის გაზიფიკაციისთვის მთელ რიგ სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს. აღნიშნული ქსელის მეშვეობით 400 აბონენტმა მიიღო ბუნებრივი აირი. „სოკარ ჯორჯია გაზმა“ 2009-2013 წლებში საქართველოს მასშტაბით სულ 3 663 კმ. სიგრძის გაზსადენის მშენებლობა განახორციელა და ბუნებრივი აირით 184 906 აბონენტი მოამარაგა. კომპანია საქართველოს რეგიონებში ახალი გაზსადენების სამშენებლო და უკვე არსებული ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს.

2012 წელს საქართველოში “სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის” მიერ სულ -129624.298 ათასი ტონა სხვადასხვა სახეობის ბენზინი, მათ შორის: სუპერი, პრემიუმი და რეგულარი, 261403.730 ათასი ტონა დიზელი, და 18615.308 ათასი ტონა საავიაციო ნავთი იყო იმპორტირებული.

ცხრილი 1

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ მაღალი ხარისხის საწვავის ფასები

პროდუქცია	ფასი (ლარებში)
SUPER	2.27
PREMIUM	2.22
EURO REGULAR	2.15
REGULAR	2.02
L P G	1.60
C N G	1.05
WURO DIESEL	2.22
DIEZEL	2.02

კომპანია - სოკარ პეტროლეუმი არის საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული და მოწესრიგებული კომპანია, ეს არის ორგანიზაცია სადაც დაფასებულია თითოეული თანამშრომელი. კომპანიაში არის მაღალი ხელფასები. სოკარი იცავს შრომის კოდექსს. მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება მისაქცევი სოფლების გაზიფიკაციის პროცესისათვის, სადაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა.

სოკარის ბენზოგასამართ სადგურებზე 12 საათის განმავლობაში იმყოფება 2 ოპერატორი, 1 ცვლის უფროსი (მენეჯერის მოადგილე), დაცვის სამსახურის თანამშრომელი და თავად მენეჯერი. მონაცემების აღება და მრიცხველების ჩვენების ამოღება ხდება ყოველ 3 საათში. მაღალ ხელფასთან ერთად მუშაობის ხარისხზე მოთხოვნაც მაღალია, ყველაფერს აკონტროლებს მონიტორინგის სამსახური.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი რომელიმე კომპანია სოკარის ბენზინის ან დიზელის ტალღებს შეიძენს ყოველ 100 ლიტრზე და ზემოთ არის სხვადასხვა ფასდაკლებები. შეიძლება ითქვას, რომ „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ არის ერთ-ერთი წარმატებული ნავთობ-კომპანია.

ნაიკა ვიჩსალაძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ინდექსების როლი საერთაშორისო შედარებებში

ინდექსები საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ცვალებადობის ამსახველი მძლავრი სტატისტიკური მაჩვენებელია. მათი გამოყენებით მოვლენების ცვალებადობა განიხილება როგორც დროში ქრონოლოგიური თარიღების, ისე სივრცობრივ ანუ ტერიტორიულ ჭრილში. მოვლენების დროში ცვალებადობას განსახვდურავს დინამიკური, ხოლო სივრცობრივს – ტერიტორიული ინდექსები.

ტერიტორიული ინდექსების გამოყენებით წარმოებს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების (ქვეყნების, რეგიონების, რაიონების) ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთშედარება.

საერთაშორისო მასშტაბით ფართოდ გამოიყენება ინდექსები (როგორც ინდივიდუალური, ისე აგრეგატული) ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შედარებისათვის, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეოვნული შემოსავალი და ა. შ.

დავიწყოთ იქედან, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე, ეკონომიკური ზრდის ყველაზე განზოგადებული და ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია. ამ ინდექსით შეიძლება აღვწეროთ განსხვავებები ცხოვრების სტანდარტებში, რომლებიც დროთა განმავლობაში ქვეყნებს შორის წარმოიშობა.

საერთაშორისო სტატისტიკის ოფიციალური მონაცემების მიხედვით მსოფლიოს 187 ქვეყნიდან მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაღალი მოცულობით ხასიათდება შემდეგი 10 ქვეყანა: ლუქსენბურგი (69 800), ნორვეგია (42 364), აშშ (41 399), ირლანდია (40 610), ისლანდია (35 586), დანია (34 737), კანადა (34 273), ავსტრალია (33 615), ჰონგ-კონგი (33 411), შვეიცარია (32 571).

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობით მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ლუქსენბურგი. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის დონე ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალია.

საქართველოს მეზობელი სახელმწიფოებიდან რუსეთი დგას 62 ადგილზე, სადაც მშპ მოახლეობის ერთ სულზე 11 041 აშშ დოლარს შეადგენს, აზერბაიჯანი (4 601) - 106 ადგილზე, სომხეთი (4270) - 115 ადგილზე, ხოლო თურქეთი (7 950) - 75 ადგილზე.

რაც შეეხება თავად საქართველოს აღნიშნული მაჩვენებლით იგი 120-ე ადგილზეა და მშპ-ის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 3 616 აშშ ამერიკულ დოლარს. 2012 წლის მონაცემებით, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში 26 167,3 მილიონ ლარს (15 846,8 მილიონი აშშ დოლარი) გაუტოლდა. მშპ-ის რეალურმა ზრდამ წინა წელთან მიმართებით 6,2% შეადგინა, ხოლო მისი მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა 9,7%-ით.

უნდა ითქვას, რომ მშპ არის სპეციფიკური სახომი ეკონომიკური კეთილდღეობის, რომელიც ხასიათდება გარკვეული ნაკლოვანებებით, კერძოდ:

ის გვიჩვენებს საერთო დოვლათს მოსახლეობის ერთ სულზე, მაგრამ არაფერს გვეუბნებიან იმის თაობაზე, როგორ არის განაწილებული იგი, როგორია უთანასწორობა ქვეყნის ფარგლებში. მაგალითად, გაერთიანებული სამეიროების მშპ ერთ სულ მოსახლეზე 27 957 დოლარია, რაც საგრძნობლად აღმატება ახალი ზელანდიის მაჩვენებელს, თუმცა ვიცით, რომ სამეიროებში უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის ძალიან დიდია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განვითარების ინდიკატორის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს ქვეყნის შიგნით არსებულ მრავალ ნაკლოვანებას. ამ მაჩვენებელში მხოლოდ ოფიციალურად განხორციელებული ტრანზაქციები აისახება, თუმცა მრავალ ქვეყანაში არცთუ მცირეა არაანაზღაურებადი, ანდა ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ქვეყნის სტატისტიკა სანდო არ არის - ხშირად ის მთავრობის სურვილებსა და მოლოდინებს უფრო ასახავს, რაც მონაცემების შელამაზება-შენიღბებით გამოიხატება. დაბრკოლებას ქმნის არა მხოლოდ მონაცემების დამალვა, არამედ მათი შეგროვების სირთულე და სიძვირეც. სანდოობა ყოველთვის მაღალი არ არის. ასევე განსხვავებულია მასალის შეგროვების მეთოდოლოგია, რაც მათ შესადარებლად გამოუსადეგარს ხდის. ხშირად მშპ აშშ დოლარებში გამოითვლება, თუმცა დოლარის გაცვლითი კურსი თუ მსყიდველობითუნარიანობა ყველა ქვეყნისთვის ერთნაირი არ არის. მაგალითად, ერთი ლიტრი ბენზინი ან ერთი კილოგრამი პური ყველა ქვეყანაში ერთნაირად არ ფასობს. ამიტომ უფრო მეტი სიზუსტისთვის ხშირად მყიდველობით უნარიანობის პარიტეტსაც (PPP) ითვლიან - ეს მონაცემი გულისხმობს, რამდენი პროდუქტისა და მომსახურების შეძენა შეიძლება სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე ფულის ერთეულით. მაგალითად, 100 დოლარად შეედეთში თუ მხოლოდ რამდენიმე დღის საკმარის სურსათს შეიძენ, საქართველოში ამ თანხით დაახლოებით ერთი თვე შეიძლება ცხოვრება.

და ბოლოს, მშპ ნაკლებ წარმოდგენას არ გვიქმნის იმის თაობაზე, რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა, როგორია მათი კეთილდღეობა.

მსოფლიოში შემოსაცლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომად, ჯერ კიდევ, 1912 წლიდან გამოიყენება იტალიელი მეცნიერის კორადო ჯინის ინდექსი, ამ ინდექსის მნიშვნელობა კოეფიციენტებში მერყეობს 0-დან 1-მდე, თუმცა მას პროცენტებშიც ითვლიან (0-დან 100-მდე).

როდესაც ჯინის ინდექსი 0-ის ტოლია, მაშინ საზოგადოების ყველა წევრის შემოსავლები თანაბარია და ადგილი აქვს იდეალურ თანასწორობას, ხოლო როდესაც ჯინის ინდექსი 1-ს უახლოვდება ან მისი ტოლია, უთანაბრობა შემოსავლებში მაქსიმალურად იზრდება, რაც ქვეყნის კეთილდღეობის დაბალ დონეზე მეტყველებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია ჯინის ეკონომიკური ინდექსი, მით უფრო არათანაბრად ნაწილდება შემოსავლები საზოგადოებაში და პირიქით - რაც უფრო დაბალია ჯინის ინდექსი, საზოგადოება თანასწორობისკენ მიისწრაფის.

მსოფლიოში ჯინის ინდექსი ყველაზე დაბალია სკანდინავიის და ცენტრალური ევროპის

ქვეყნებში, კერძოდ, შვედეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში და ბულგარეთში. აღნიშნულ ქვეყნებში ამ ინდექსის სიდიდე 0-დან 0,25 შუალედში მერყეობს. შემდეგ ჯგუფში შედიან კანადა, ავსტრალია, საფრანგეთი, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, სადაც ინდექსი 0,25-0,29 შუალედში იცვლება. ხოლო ყველაზე უარესი მაჩვენებელი სამხრეთ აფრიკის (>0,60) და სამხრეთ ამერიკის (0,55-0,59) ქვეყნებშია.

მაშასადამე, ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით დღეს მსოფლიოში შემოსავლების მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შვედეთშია (0,3), ხოლო ყველაზე მაღალი - ნამიბიაში (0,7).

რაც შეეხება საქართველოს, ჯინის ინდექსის მიხედვით შემოსავლების უთანაბრობის კოეფიციენტი აქ საკმაოდ მაღალია. 2002 წლამდე ეს ინდექსი 0,36-0,39-ს შორის მერყეობდა, ხოლო მას შემდეგ 0,41-0,43-მდე გაიზარდა და აჭარბებს ყაზახეთის (0,26), ბელორუსიის (0,27), უკრაინის (0,27), სომხეთის (0,31), ყირგიზეთის (0,33), აზერბაიჯანის (0,33), მოლდოვას (0,38) და თურქეთის (0,41) მაჩვენებლებს. მცირედ ჯობნის რუსეთის (0,44) მაჩვენებელს.

ჯინის ინდექსი 0,40-ზე მეტი, მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულზე შემოსავლების დაბალ მაჩვენებელთან ერთად, დამახასიათებელია ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ქვეყნებში მოსახლეობის საშუალო ფენა პრაქტიკულად არ არსებობს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში 2010 წელს ერთ სულზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 15 612 დოლარს, ხოლო თურქეთში – 13 577 დოლარს უდრიდა, მაშინ როცა საქართველოში 4 882 დოლარი იყო, გასაგები ხდება, რომ თუნდაც შემოსავლების შედარებით უფრო უთანასწორო განაწილების პირობებში, დასახელებულ ქვეყნებში საშუალო ფენის ჩამოყალიბების შანსი 2-3-ჯერ მაღალია, ვიდრე საქართველოში. რაც მნიშვნელოვნად ნეგატიურია ჩვენი ქვეყნისთვის. ვინაიდან, საშუალო ფენა არის სწორედ ის ძალა, რომელსაც რეალური რეფორმების აუცილებლობა ძალიან კარგად ესმის და ასეთი რეფორმების მოთხოვნების მთავარი გენერატორია. ჩვენს ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობის ნაცვლად მოხდა პირიქით, საშუალო ფენა პრაქტიკულად გაქრა, რითაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შანსი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ინდექსების თეორიაში დიდ მიღწევად ითვლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული „ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი“. ეს ინდექსი 1980 წელს შეიმუშავეს პაკისტანელმა ეკონომისტმა - მაჰბუბ ელ ჰაქიმ და სერ რიჩარდ ჯოლიმ. „ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი“ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმოადგენს მისი განვითარების ინდიკატორს. ეს არის ერთიანი აგრეგირებული მაჩვენებელი და წარმოადგენს სამი ინდექსის საშუალო არითმეტიკულს, რომლებიც ასახავენ ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, როგორცაა: სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა ახლად დაბადებულთათვის; მოსახლეობის განათლების მიღწეული დონე და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, გამოსახული აშშ დოლარებში.

ეს ინდექსი გაეროს მიერ აღიარებულია ადამიანური განვითარების განსაზღვრის სტან-

დარტულ საშუალებად. მისი მთავარი დანიშნულებაა განსაზღვროს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანური განვითარების დონე და ის ჯგუფი, რომელსაც ეს ქვეყანა განეკუთვნება (განვითარებულ, განვითარებად თუ დაბალგანვითარებულ ქვეყანას).

ზოგადად, „ჰუმანური განვითარება“ — ესაა კონცეფცია, „გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის“ მიხედვით და ეხება ადამიანთა შესაძლებლობების ზრდის პროცესს, შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, განათლების მიღებისთვის უკეთესი პირობების შექმნას, ჯანდაცვას და ა. შ. „გაეროს განვითარების პროგრამა“ თავის ყოველწლიურ „ადამიანური განვითარების ანგარიშში“ იყენებს ამ ინდექსს. რომელიც ასევე ცნობილია „ჰუმანური განვითარების ინდექსი“-ის (ჰგი) სახელწოდებით.

ამდენად, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი ადგენს კრიტერიუმებს და გვიჩვენებს ამ კრიტერიუმების მიხედვით თუ რა საფეხურზეა ესა თუ ის ქვეყანა. საინდექსო მაჩვენებელი მოქცეულია 0-დან 1-მდე ინტერვალში. ინდექსის მაქსიმალური მნიშვნელობა თეორიულად შეიძლება იყოს „1“ (ან პროცენტებში), რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ მთლიანად გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობები.

ჰუმანური განვითარების 2013 წლის ანგარიშის თანახმად, ნორვეგიას, ავსტრალიასა და აშშ-ს ჰუმანური განვითარების უმაღლესი ინდექსები მიენიჭათ და წამყვანი ადგილები დაიკავეს 187 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის კეთილდღეობა ყველაზე მაღალია. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ნიგერი კი ამ რეიტინგის ბოლოს მოექცნენ ჯანდაცვის, განათლებისა და შემოსავლების დაბალი მაჩვენებლების გამო.

საქართველოში ჰუმანური განვითარების ინდექსმა შეადგინა 0,745 (74,5%, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანას თავისი ადამიანური პოტენციალის 25,5% რეალიზებული არა აქვს). 187 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საქართველო 72-ე ადგილზეა. იმავე ადგილზეა დომინიკის რესპუბლიკა, ლიბანი და სენტ კიტსი და ნევისი.

2005-2012 წლებში საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსი გაიზარდა 5%-ით, საშუალოწლიურმა ზრდამ კი შეადგინა 0,6%.

ზოგადად, „ჰუმანური განვითარების ინდექსი მოწმობს, რომ მსოფლიო ჰუმანური განვითარების უფრო მაღალი საფეხურისკენ მიისწრაფის და ყველგან შეინიშნება ამ ინდექსების გაუმჯობესების ტენდენცია. ეს კი საფუძველს იძლევა, რომ მსოფლიო უფრო და უფრო თანასწორი ხდება“ - აღნიშნულია ჰუმანური განვითარების ანგარიშში.

რაც შეეხება საქართველოს, იმისათვის რომ აღნიშნული საინდექსო მაჩვენებლები გაუმჯობესდეს და მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიოში, საჭიროა მთლიანად ქვეყნის გარდაქმნა, ანუ რადიკალური ცვლილებები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, რაც მას გადააქცევს კონკურენტუნარიან, საყოველთაო, მაგრამ დიფერენციული კეთილდღეობის, აყვავებულ და თანამედროვე ქვეყნად.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია, თბ., 2005.
2. ვირსალაძე ნ. ბაკურაძე ა. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწ. მეორე, ქუთაისი, 2009.
3. ხმალაზე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ., 2011.
4. Экономическая статистика. Под. Ред. Проф. Ю. Н. Иванова, изд. ИНФРА-М., М. 2006.
5. www. statistics.ge

დოკუმენტი მაღლაკელიძე

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის და აკ. წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
ნათელა გაშაკიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

**სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების
თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდების
შესახებ**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირია ფასების ცვლილება, ისე რომ ერთი და იგივე

მატერიალური ფასეულობები შეიძლება შექმნილ იქნეს სხვადასხვა ფასებით. მიუხედავად ამისა, გაცილებით ადვილია შექმნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა, ვიდრე დახარჯული ფასეულობების. ხშირად შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტულად რომელი მატერიალური ფასეულობები იქნა რეალიზებული (დახარჯული) და რომელი დარჩა ნაშთად მარაგის სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს მატერიალური ფასეულობების გასვლის თანმიმდევრობა.

ბასს-ის შესაბამისად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასების შემდეგი მეთოდები:

- ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების (ინდენტიფიცირებული ფასების) მიხედვით შეფასების მეთოდი;
- „ფიფო“ მეთოდი (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში);
- საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მან უნდა მოგვცეს უტყუარი ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მარაგად დარჩენილ და რეალიზებულ ფასეულობას შორის ხარჯების განაწილების შესახებ.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ინდენტიფიცირებული ფასების, ანუ მარაგის ფაქტიური ღირებულების განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება სპეციალური დანიშნულების საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გასაანგარიშებლად, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელი. მათი თვითღირებულება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით. ეს მეთოდი მისაღებია ძვირადღირებული და ინდივიდუალურად განსხვავებული პროდუქციის ერთეულის შესაფასებლად, როგორც შექმნის, ისე გაყიდვის დროს. ასეთია მაგალითად, საიუველირიო ნაწარმი, ხელოვნების ნიმუშები, ანტიკვარული ნაკეთობანი, ავტომანქანები და სხვა. ამ მეთოდის გამოყენების დროს აუცილებელია ინდივიდუალური ბარათების წარმოება, რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერ მომენტში განისაზღვროს მოცემული მარაგის ღირებულება, ასევე რეალიზებული და ნაშთად დარჩენილი ფასეულობების თვითღირებულება. ეს მეთოდი არ გამოიყენება მაშინ, როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება მრავალი დასახელების ურთიერთშემცვლელი ელემენტებისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენებული უნდა იქნეს „ფიფო“-ს (პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში), ან საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ფიფო მეთოდს საფუძვლად უდევს შემდეგი დაშვება: მარაგები, რომლებიც პირველად იქნა შექმნილი, პირველ რიგში იხარჯება. რამდენადაც დაშვებულია, რომ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა იყიდება შექმნის ან წარმოების თანმიმდევრობით, იგულისხმება, რომ ნაშთად რჩება ბოლოს შემოსული ფასეულობები. ამიტომ ნაშთად დარჩენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა ფასდება ბოლო შესყიდვის ან წარმოების თვითღირებულებით. ფიფო მეთოდი გამოიყენება დაბალი ინფლაციის პირობებში, იგი იძლევა მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რადგან პირველად შექმნილ ფასეულობებს აქვს უფრო დაბალი ფასები, რის გამოც რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დაბალია, ხოლო ამონაგები მაღალი.

მაგალითი:

დავუშვათ მაისის თვეში საწარმოში ადგილი ჰქონდა მასალების შემოსავალ-გასავლის შემდეგ ოპრაციებს:

თარიღი	ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	
		შემოსავალი	გასავალი
ნაშთი	3.00	700	
5 მაისი	3.10	800	
8 მაისი			900
16 მაისი	3.40	1000	
20 მაისი			1100
25 მაისი	3.50	400	
30 მაისი			800

„ფიფო“- ს მეთოდით დახარჯული მასალების შეფასება:

თარიღი	რაოდენობა	გაანგარიშება	თვითღირებულება
8 მაისი	900	700 X 3.00 = 2100 200 X 3.10 = 620	2720
20 მაისი	1100	600 X 3.10 = 1860 500 X 3.40 = 1700	3560
30 მაისი	800	500 X 3.40 = 1700 300 X 3.50 = 1050	2750
ნაშთი	100	100 X 3.50 = 350	350

ამრიგად, „ფიფო“ მეთოდით დახარჯული მასალების თვითღირებულებამ თვის განმავლობაში შეადგინა 9030 ლარი, ხოლო მასალების ნაშთის ღირებულებამ 350 ლარი.

საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ემყარება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის ფორმულის გამოყენებას. მისი გამოთვლის მიზნით პერიოდის დასაწყისში არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მთლიან თვითღირებულებას ემატება პერიოდის განმავლობაში შემოსული ფასეულობების მთლიანი თვითღირებულება და იყოფა პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგისა და შემოსული ფასეულობების რაოდენობრივ ჯამზე. ღირებულების საშუალო სიდიდის გაანგარიშება შესაძლებელია პერიოდულად ან ყოველი ახლად მიღებული პარტიისათვის, მოცემული საწარმოს დამახასიათებელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

მაგალითი:

გამოვიყენოთ წინა ცხრილის მონაცემები და შევასრულოთ გაანგარიშებები:

თარიღი	რაოდენობა (კალი)			ღირებულება	საშუალო ფასი (ლარი)
	შემოსავალი	გასავალი	ნაშთი		
ნაშთი			700	2100	3.0
5 მაისი	800			2480	3.10
ნაშთი			1500	4580	3.05333
8 მაისი		900		2748	3.05333
ნაშთი			600	1832	3.05333
16 მაისი	1000			3400	3.40
ნაშთი			1600	5230	3.26875
20 მაისი		1100		3596	3.26875
ნაშთი			500	1634	3.26875
25 მაისი	400			1400	3.50
ნაშთი			900	3034	3.37111
30 მაისი		800		2697	3.37111
ნაშთი			100	337	3.37111

ამრიგად, საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით დახარჯული მასალების თვითღირებულებამ თვის განმავლობაში შეადგინა 9041 ლარი, ხოლო მასალების ნაშთის ღირებულებამ 337 ლარი.

აღნიშნული მეთოდებიდან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ზუსტი შეფასება ხდება იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენებით, მაგრამ მისი გამოყენება პრაქტიკულად მიზანშეწონილია მარაგების მცირე ასორტიმენტის შემთხვევაში. საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს გააჩნია ის უპირატესობა, რომ მისი განსაზღვრისას გაითვალისწინება ყველა ფასი, რომელიც კი მონაწილეობდა საანგარიშგებო პერიოდის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის პროცესში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულების განსაზღვრისას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით განსხვავებული მოგება და შესაბამისად განსხვავებული მოგების გადასახადი მიიღება. ამიტომ საწარმომ დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ მეთოდის გამოსაყენებლად. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც ერთ არჩევანს საგადასახადო პრობლემები არ შეექმნება, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაშვებულია ამ მეთოდებიდან ნებისმიერის გამოყენება.

მარაგების შეფასების მეთოდების სიმრავლე პრობლემებს უქმნის ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს. ეკონომიკურ გადაწყვეტილებებში ამ მონაცემების გამოყენების შესამსუბუქებლად, აგრეთვე დასახელებული მეთოდებით მანიპულირების შემცირების მიზნით, ბასს რეკომენდაციას იძლევა ანგარიშგების შენიშვნებში აიხსნას მარაგების შეფასების მეთოდები, რათა იგი უფრო ადეკვატური იყოს საწარმოს საქმიანობის თავისებურებებისა და უზრუნველყოფდეს წმინდა მოგების ზუსტ გაანგარიშებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების დასადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნორმატიული და საცალო ფასთა მეთოდი, რომელიც მიახლოებითი ღირებულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. ნორმატიული მეთოდის დროს მხედველობაში მიიღება ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, სამუშაო ძალის გამოყენების, მწარმოებლურობისა და საწარმოს სიმძლავრეთა გამოყენების ნორმატიული დონეები. ეს ნორმები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს და საჭიროების შემთხვევაში, შეიცვალოს თანამედროვე პირობების გათვალისწინებით.

საცალო ფასების მეთოდი უფრო ხშირად გამოიყენება საცალო ვაჭრობაში, ვინაიდან აქ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა შედგება სწრაფად ცვალებადი, მრავალი დასახელებისა და ასორტიმენტის საქონლისაგან და მათი თვითღირებულების გაანგარიშების დროს სხვა მეთოდების გამოყენება მეტწილ შემთხვევაში არაპრაქტიკულია, რომელთა შესაფასებლად მისაღებია სარეალიზაციო (გასაყიდი) ფასი და არა თვითღირებულება. მათი თვითღირებულების დასადგენად სარეალიზაციო ფასებით შეფასებული მარაგის საერთო ღირებულებას უნდა გამოაკლდეს შესაბამისი საერთო მომგებიანობის დონისათვის დადგენილი განაკვეთის შესაბამის თანხა. საცალო ვაჭრობაში უფრო ხშირად იყენებენ საშუალო საპროცენტო განაკვეთს.

საცალო ფასების მეთოდის უპირატესობაა, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია ინვენტარიზაციის ჩატარების გარეშე განისაზღვროს ნაშთად დარჩენილი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, თუმცა მონაცემების დაზუსტების მიზნით აუცილებელია ინვენტარიზაციის ჩატარება.

ნანა ბენიკე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

სადაზღვევო ბაზარი და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი

საქართველოს, რომლის მოსახლეობაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 0,063 %-ს შეადგენს, მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის დაახლ. 0,007 % უკავია. მსოფლიო ამ პროპორციის მიხედვით, ეკონომიკის ადეკვატურად განვითარების პირობებში, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის 10-ჯერ გაზრდა უახლოეს 10-იოდე წელში სრულიად რეალურია.

საქართველო 1 სულზე მოზიდული სადაზღვევო პრემიის სიდიდით (69 აშშ დოლარი) აღემატება ამიერკავკასიის დანარჩენ ქვეყნებს, უტოლდება აფრიკის საშუალო მაჩვენებელს, დაახლ. 2-ჯერ ჩამორჩება განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაჩვენებელს (120 აშშ დოლარი) და 110-ჯერ ჩამორჩება შვეიცარიას (ამ მაჩვენებლით პირველადგილოსან ქვეყანას).

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ამიერკავკასიაში ყველაზე მეტად იყენებს თავის პოტენციალს და ფარდობითი მაჩვენებლებით ლიდერია ამ რეგიონში. და რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმ ქვეყნებს, სადაც დაზღვევა ათწლეულების და ასწლეულების (გაერთიანებული სამეფო, აშშ) მანძილზე ვითარდება, ასევე - ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებს.

საქართველოში განვითარებელია გრძელვადიანი და დაბრუნებადი დაზღვევის სახეობები (მსოფლიოში არასიცოცხლის და სიცოცხლის დაზღვევის სახეობებში მოზიდული პრემიების საშუალო შეფარდებაა 43% : 57%, საქართველოში - 1 % : 99 %).

მსოფლიოში პირველადგილოსანი სადაზღვევო კომპანიის სადაზღვევო შემოსავლები 600-ჯერ აღემატება მთლიანად საქართველოს ჯამურ სადაზღვევო პრემიას. შესაძლებელია, მსხვილი საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიებისათვის ბაზრის ასეთი სიმცირე ძირითადი მიზეზია მათი საქართველოსადმი (აქ სადაზღვევო ბიზნესის კეთებისადმი) დაბალი ინტერესისა.

თუ ჩვენი სადაზღვევო ბაზრის განვითარების უახლოესი 3-5 წლის ორიენტირად ავიღებთ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს, საქართველოში სადაზღვევო პრემიის სიდიდემ შეიძლება გადალახოს მილიარდლარიანი ზღვარი.

2007 და 2012 წლებში დაწყებული სადაზღვევო პროგრამები (ჯამში დაახლოებით 2.1 მილიონი ადამიანი) სოციალურად დაუცველ და საპენსიო ასაკის მოსახლეობას, 0-5 წლის ასაკის ბავშვებს, სტუდენტებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აზღვევდა. აღნიშნულ პროგრამებს კერძო სადაზღვევო კომპანიები ახორციელებდნენ და ჯერჯერობით ისევ ისინი ახორციელებენ.

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებში კერძო სადაზღვევო კომპანიების ჩართვა მნიშვნელოვანია მომავალშიც გაგრძელდეს, რადგანაც იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო

დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზრის დაახლოებით 75%-ს შეადგენს, სახელმწიფოს მხრიდან ამ გადაწყვეტილების შეცვლა სადაზღვევო კომპანიებსა და ბაზარს მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჰქონდეს საშუალება ერთმანეთს შეადაროს ის თუ რამდენად ეფექტურად ახორციელებს თავად და რამდენად ეფექტურად ახორციელებენ კერძო კომპანიები დაზღვევის პროგრამებს.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში არის უფრო მეტი ბენეფიციარი და ფაქტობრივად მოსახლეობის უფრო ფართო სპექტრს შეეხება.

პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების პირობები, რაც ბენეფიციარს კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის იმასთან დაკავშირებით თუ რა დაავადებებს ფარავს მისი დაზღვევა, კერძოდ მოცემულია ასობით დაავადებათა ჯგუფი და მდგომარეობა, რაც დღემდე არცერთი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში არ გაკეთებულა.

პროგრამით დაფინანსდება პრევენციული ღონისძიებები. დღემდე არც ერთი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსებულა.

ბენეფიციარებს ამბულატორიული მომსახურების მისაღებად საჭირო რეგისტრაციისათვის აქვთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს შორის იმ პირობით, რომ მოსარგებლეს სამედიცინო დაწესებულების შეცვლა შეუძლია ყოველ ორ თვეში ერთხელ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დააზღვევს ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა არადაზღვეულ პირს. ვფიქრობთ, რომ მოსახლეობის დაუზღვეველი ნაწილის დიფერენცირება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბიუჯეტის ხარჯები და შესაბამისად ფისკალური ტვირთი ზედმეტად არ გაიზარდოს. ასევე ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია მოსახლეობის ამ პროგრამაში ჩართვა მათი შემოსავლების მიხედვით მოხდეს. შემოსავლების ზღვარის დადგენისთვის მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ყველა დასაქმებულის მონაცემთა ბაზა, რომელიც ისედაც აუცილებლად უნდა შეიქმნას საშემოსავლო გადასახადში დაუბეგრავი მინიმუმის ადმინისტრირებისთვის.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დააზღვევს ქვეყნის მართალია, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების პირობები, მაგრამ ბევრი ამ დაავადებებისთვის არ არსებობს გაიდლაინები და პროტოკოლები. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგანაც კლინიკური გაიდლაინები დეტალურად აღწერს დაავადებათა ჯგუფის ან ცალკეული კლინიკური მდგომარეობის მკურნალობას, ხოლო პროტოკოლებში გაწერილია მკურნალობის საფეხურები, საჭირო მედიკამენტები, მათი მიღების თანმიმდევრობა, მომსახურების ფასები და ა.შ. გაიდლაინები და პროტოკოლების არსებობა სადაზღვევო კომპანიებსა და არასაკუთარ კლინიკებს შორის ანაზღაურებასა და გაწეული მკურნალობის მიზანშეწონილობაზე დავების მოგვარებას შეუწყობს ხელს.

პროგრამის ხარვეზია ისიც, რომ არ არის განსაზღვრული, უნაზღაურებს თუ არა სახელმ-

წიფო მომწოდებელს გადაუდებელი სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურების ღირებულებას, მაშინ როცა იმის გასარკვევად, არის თუ არა ბენეფიციარის დაავადება პროგრამით დაფინანსებული, საჭიროა მკურნალობის დაწყება ან სხვა რაიმე ჩარევა.

თუ ახალი სადაზღვევო პროგრამა დაახლევს ყველა არადაზღვეულ პირს, მაშინ მოსალოდნელია ამ პირთა რიცხვის მკვეთრი ზრდა კერძო სექტორში დაზღვეულთა ხარჯზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო დაახლევს ყველას, დიდია ალბათობა იმისა, რომ დამსაქმებლები აღარ გაიღებენ ხარჯს საკუთარი თანამშრომლების დაზღვევაზე. დამსაქმებლებმა შეიძლება არ შეწყვიტონ საკუთარი თანამშრომლების დაზღვევა თუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დაზღვეულებს კერძო სადაზღვევო პაკეტზე ბევრად უარეს პირობებს შესთავაზებს და დამსაქმებელს დამატებითი შეღავათების შექმნა უნდა თავისი თანამშრომლისთვის. თუმცა ბევრი დამსაქმებლისთვის თანამშრომლის საბაზისო დაზღვევა სავსებით საკმარისი იქნება. მუქთა სარგებლობის (ფრირაიდინგის) პრევენციისთვის შესაძლებელია დამსაქმებლების ან დასაქმებულებისთვის დაწესდეს ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადი.

სახელმწიფო დაზღვევის წილი სადაზღვევო ბაზრის დაახლოებით 75%-ს შეადგენს. ამდენად, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით მთავრობის გადაწყვეტილებებზე არა მხოლოდ სადაზღვევო ბაზრის განვითარებაა დამოკიდებული, არამედ ბაზრის არსებობაც.

საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის უმთავრეს რისკს წარმოადგენს ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიძლება ვერ მოახერხოს პროგრამის ეფექტიანად მართვა, რაც საერთო ჯამში პროგრამის ხარჯებს გაზრდის. მაგალითად, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობისთვის სამედიცინო დაწესებულება ფინანსდება შემთხვევების მიხედვით. აქ სამედიცინო დაწესებულებას აქვს ცდუნება პაციენტის დიაგნოზი დაამძიმოს ან სხვა დიაგნოზი დაწეროს, რათა მკურნალობისთვის დამატებითი ანაზღაურება მიიღოს.

ჩვეულებრივი ამბულატორიული მომსახურებისთვის პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებას კი სახელმწიფო ერთ მოსარგებლეზე უხდის მომსახურების ფიქსირებულ ღირებულებას 0.86 ლარის ოდენობით (ლაბორატორიული კვლევებისთვის 0.25 ლარის ოდენობით). აქ სამედიცინო დაწესებულებას არათუ დიაგნოზის შეცვლა ან დამძიმება აწყობს, არამედ მოსარგებლესთვის მომსახურების საერთოდ არგაწევა, რადგან ერთ მოსარგებლეზე მას ფიქსირებულ ღირებულებას უხდიან მიუხედავად იმისა, უწევს თუ არა იგი ამ მოსარგებლეს მომსახურებას. პროგრამის განხორციელების პროცესში გამოჩნდება საკმარისია თუ არა ეს ფიქსირებული გადასახადი და თუ აღმოჩნდება, რომ არასაკმარისია სოციალური მომსახურების სააგენტომ მისი კორექტირება უნდა მოახდინოს.

იმის გათვალისწინებით რომ სადაზღვევო კომპანიები გამოეთიშნენ პროგრამის მართვას, საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის სანქციები მომწოდებლებისთვის შესაძლოა სრულიად არასაკმარისი იყოს. მაგალითად, თუ პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული დიაგნოზი არ დასტურდება ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანმხლები დიაგნოზის სახით, პროგრამის განმახორციელებელი მომწოდებელს საჯარიმო სანქციის სახით დააკისრებს

ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნებას. სოციალური მომსახურების სააგენტო ყველაზე მასშტაბური შემოწმებითაც ვერ დაადგენს ყველა დარღვევას, რის გამოც მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება მომსახურების მომწოდებლისთვის დაწესებული ჯარიმები უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ამ რისკის გაწვევით მის მიერ მიღებული შემოსავალი.

ქვეყანაში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის 2011-2015 წლების ეროვნული სტრატეგია საჭიროებს დახვეწას ახალი რეალიებიდან გამომდინარე, ასევე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა შემუშავდეს დეტალური 3-5 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველიც იქნება ჯანმოს ახალი ევროპული სტრატეგია ჯანმრთელობა 2020, გაეროს უახლესი რეზოლუცია ხარისხიან სამედიცინო მომსახურებით უნივერსალურ მოცვასთან დაკავშირებით, ადელაიდას შეთანხმება „ჯანმრთელობა ყველა პოლიტიკაში“, რიოს პოლიტიკური დეკლარაცია სოციალურ დეტერმინანტებზე, გაეროს გლობალური სტრატეგია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის, ნიუ იორკის პოლიტიკური დეკლარაცია არგადამდებ დაავადებებზე და სხვ.

ერთიანი საინფორმაციო სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 2011 წლის თებერვლიდან მუშაობა დაიწყო ახალ, ინოვაციურ ელექტრონულ ჯანდაცვის სისტემაზე, რომელიც დააკავშირებს სადაზღვევო კომპანიებს, სამედიცინო მომსახურების მომწოდებლებს, ფარმაცევტულ დაწესებულებებს და მარეგულირებელ ორგანოებს, რათა გაცვალონ სარწმუნო ინფორმაცია, გაზარდონ ინფორმაციის ხარისხი და ეფექტურად მართონ რესურსები.

პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვა მთავრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოში პაციენტის ინტერესების დაცვის მექანიზმების უფრო ფართოდ ამოქმედება სადაზღვევო თუ სამკურნალო ურთიერთობებში დიდ მნიშვნელობას იქნის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, 2008 წელს დაარსდა ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური, რომელიც 2012 წლის ივნისში ჩამოყალიბდა როგორც სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“. ყოველწლიურად იზრდება როგორც პაციენტების, ისე სამედიცინო დაწესებულებებისა და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან მიმართვებისა და შეტყობინებების რაოდენობა, რაც ერთი მხრივ, მათი ინფორმირებულობის ამაღლების დონის, ხოლო მეორე მხრივ, მედიაციის სამსახურის, როგორც მათი უფლებებისა და ინტერესების დამცველი ორგანოსადმი ნდობის ამაღლებით აიხსნება.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასებამ აჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში, მიუხედავად გარდამავალი პერიოდის სიძნელეებისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ამსახველ ინდიკატორებში დადებითი ძვრები და სიტუაციის გაუმჯობესების მრავალი ნიშანი შეიმჩნევა. მიმდინარეობს ჰოსპიტალური სექტორის და პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესი. მიმდინარეობს მუშაობა მოსახლეობის ფინანსური რისკებისგან დაცვისა და უნივერსალური მოცვის უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებას, მისი შედეგები უკვე თვალსაჩინო იქნება მიმდინარე წელს და საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის გრძელვადიანი და მდგრადი ეფექტის მომტანის იქნება.

ხათუნა შალამბერიძე

ეკონომიკის დოქტორი, აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მეთოდების ანალიზი

საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირება ორასწლიან ისტორიას მოიცავს. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებისთანავე აუცილებელი გახდა საბანკო სისტემის ჩამოყალიბების გარდამავალ ეტაპზე გადასვლა. მიუხედავად იმუამად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, მაინც შედგა ქვეყნის ორიარუსიანი საბანკო სისტემა და წარიმართა მისი ფორმირებისა და განვითარების პროცესი.

საბანკო რეგულირების მეთოდური საფუძვლების ანალიზის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეთოდები, რომლებიც საბანკო სფეროში არსებული და პოტენციური პრობლემების დროულად გამოვლენისა და მათ აღმოსაფხვრელად ადეკვატური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული თვალსაზრისით, რეგულირებისა და კონტროლის მეთოდებში გამოვყოფდით ე.წ. წინასწარი დიაგნოსტიკის მექანიზმს, რომელიც გულისხმობს მაკრო-ეკონომიკური გარემოს გამოკვლევას სპეციფიურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებთან მიმართებაში.

მაკროეკონომიკური ანალიზის საფუძველზე იკვეთება საბანკო სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკის კონტურები, რაც მომავალში უფრო ღრმა გამოკვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა, ხოლო რაც შეეხება მაჩვენებლებს, რომლებიც ქმნიან გარკვეულ წარმოდგენას იმ გარემოზე, რომელშიც ბანკებს უწევთ საქმიანობა, ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა მშპ, ეროვნული შემოსავალი და მათი ზრდის ტემპები, ითვალისწინებენ შემდეგ სპეციფიურ ფულად-საკრედიტო მაჩვენებლებსაც: ინფლაციის ტემპები, ფულადი მასის აგრეგატივი, საკრედიტო რესურსები, მათი სტრუქტურა და ა.შ. წინასწარი დიაგნოსტიკა განზოგადებული მონაცემების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რაც აადვილებს სიტუაციის კონტროლირებას და სრულყოფის ღონისძიებების და სხვა.

